# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 29 მაისი, 2010 წელი.

№99 (6465)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ხომ გაგვაფრთხილა „პიონერმა“, მეტი რა ექნა?!

„პილატე“ ხელისუფლება, ხელფეხშეკრულ-გულხელდაკრეფილი ეროვნული სამსახური და ბედის ანაბარად მიტოვებულ-დაუცველი მომხმარებელი



3



ლელა იაკობაშვილი:

## ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლება ილუზიის შექმნის ტექნოლოგიასა და ბერკეტებს დიდებულად ფლობს

3

## ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიას მუნიციპალიტეტების არჩევნები ვერ შეცვლის

2

## ფრთხილად, ცენზურაა! ქართველი ჟურნალისტები ბრიუსელში პროტესტს აცხადებენ

8



## ფრიდონ ხალვაში — მთლიანი საქართველოს პოეტი

6

## რა ხეირი აქვს „წყლის მოტანილ“ მრიცხველებს?



9




ამირან ერაძის ნახატი.

## დანაშაული, რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასია



## გზები, გზები და ისევ გზები!

5

**არჩევნებამდე**

# ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიას მუნიციპალიტეტების არჩევნები ვერ შეცვლის

**„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ერთობლივი პროექტი „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალეობისთვის“ გუშინ დასრულდა. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიამ საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ პროექტი წარმოადგინა. მათ შორის უკანასკნელი იყო ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც, როგორც მმართველმა გუნდმა, კონკრეტულად ჩამოაყალიბა არსებული საკანონმდებლო ბაზა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ.**



ნაციონალების ლოზუნგი: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“ შეიძლება ზოგადად ადგილობრივი არჩევნების სლოგანად იქცეს, რადგან ამ კუთხით დასახვეწი და მოსაწესრიგებელი მართლაც ბევრია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის სულ რაღაც ორ ათეულ წელიწადს ითვლის.

მთავარი ის არის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები 1998 წელს შეიქმნა, თუმცა ამ პროცესის დაწყების რეალურ თარიღად შეიძლება 2005 წელი მივიჩნიოთ. სწორედ ამ წელს მიიღეს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და ქონების შესახებ. სწორედ ამის შემდეგ გაიმიჯნა ერთმანეთისგან ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას შორის უფლებამოსილებები, რადგან იქამდე ხშირად უფლებამოსილების დუბლირება ხდებოდა. საინტერესოა, რომ 2009 წელს შესული ცვლილებებით თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას დაემატა ერთადერთი – დასაქმების მუნიციპალური პროგრამების მომზადება.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (გარდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა), საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს. ეს საკითხი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენას უკავშირდება. ამიტომ დღეს რეგიონზე საუბარი შეიძლება მხოლოდ, როგორც „დაგეგმარებით რეგიონზე“. თუმცა 2007 წლიდან თუნდაც ასეთი პირობითი „რეგიონისთვის“ მოხდა სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის გუბერნატორის ინსტიტუტად გარდაქმნა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით გუბერნატორი გახდა საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენელი და აღიჭურვა გარკვეული აღმასრულებელი უფლებამოსილებით. ამ ცვლილებაში უმთავრესი ეკონომიკური უფლებამოსილებების გამიჯვნისა და პრიორიტეტების გამოკვეთის პრობლემა დგას, თუმცა ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხი კვლავ მოსაგვარებელია. ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, რა ტიპის მოდელის მოწყობისკენ წავა ქვეყანა. უნდა შეიქმნას რეგიონების სტრატეგია, პროგრამა, კონცეფცია...

რაც შეეხება გადასახადების წილობრივი გაყოფის არსებობის პრაქტიკას, 1998-2004 წლებში ეს პროცესი ჩვენმა ქვეყანამ გაიარა და ანალიზი ადასტურებს, რომ არაეფექტიანად. დღეს ისე ხდება, რომ ცენტრალურ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია გადასახადები ამოიღოს, თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში შემოაქვს და შემდეგ ხდება ამ თანხების თვითმმართველ ერთეულებზე გადანაწილება. ზოგადად ეს კურსი ოპონენტებს არ მოსწონთ, თუმცა მეტ-ნაკლებად პრობლემა ის კი არ არის, რა გადასახადი ან გადასახადის რა წილი უნდა დარჩეს თვითმმართველობებს, არამედ ის, თუ რამდენად ობიექტურად ხდება გათანაბრებითი პრინციპით ტრანსფერის თანხების გადანაწილება. ამ მხრივ მთლიანად მოსაწესრიგებელია სტატისტიკური აღრიცხვა, რომელთა საფუძველზე ხდება ტრანსფერის გათანაბრება.

სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით კონსტიტუციით მხოლოდ ნაწილობრივ წესრიგდება დედაქალაქის სტატუსი, რაც ასევე ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობის გადაუწყვეტელობით არის განპირობებული. არსებული კანონმდებლობით თბილისი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, მაგრამ ასევე არის დედაქალაქი, ანუ სარგებლობს მეორე კანონით, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“. კანონმდებლობა ბევრად დასახვეწია, სადაც კონკრეტულად უნდა აისახოს თბილისის, როგორც ქვეყნის დედაქალაქის როლი და მისი, როგორც განსაკუთრებული ტიპის თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

თბილისში, როგორც დედაქალაქში თვითმმართველობის ჩვეულებრივი უფლებამოსილებები იღებს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. მაგალითად, გზების, წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემების ინფრასტრუქტურას სახელმწიფო მნიშვნელობის დატვირთვა აქვს. ამიტომაც აქვს თბილისის დამოუკიდებლობის ხარისხს და და პირდაპირი კენჭისყრით არჩეულ თბილისის მერს დიდი მნიშვნელობა.

**„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე თითქმის არ გახმიანებულა არც ერთი დაპირება: უბრალოდ ეკონომიკური პროგრამის ხელმძღვანელმა ვახტანგ ბალავაძემ აღნიშნა, რომ 30 მაისის არჩევნები არის მხოლოდ მუნიციპალიტეტის არჩევნები, ამიტომ საკანონმდებლო ბაზით ეკონომიკურ სტრატეგიასთან დაკავშირებით რაიმე რადიკალური ცვლილების მიღწევა შეუძლებელი იქნება. მთავარია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა და მმართველობებმა მიაღწიონ იმას, რომ ჰქონდეთ თვითკმარი ბიუჯეტი და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მეტი ხარისხი. ესაა და ეს!**

**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

## ოპოზიციის წარუმატებლობის მიზეზი მათი წევრების ამბიციურობაა

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერის, თავდაცვის ექს-მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის შეფასებით, ოპოზიციის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ზოგიერთი პოლიტიკური ძალის პირადი ამბიციებია.**

ამის შესახებ ირაკლი ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში საუბრისას განაცხადა.



– თუ ოპოზიციამ გადაჯგუფება ვერ მოახერხა, საზოგადოებას არსებულ რეჟიმთან შეგუება დიდხანს მოუწევს. მე მესაუბრებოდა ერთ-ერთი ოპოზიციონერი, რომელიც ამბობდა, რომ თუ სააკაშვილის მოშორება მისი ხელით არ მოხდება, სხვის მოშორებულს მირჩევნია, ისევ იქ იჯდეს, სადაც ზისო. ამ მიდგომით მიზნის მიღწევა შეუძლებელია, – განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა.

ამასთან, ოქრუაშვილი ოპოზიციის წარუმატებლობას სამი გარემოებით ხსნის. კერძოდ კი ექს-მინისტრი მიიჩნევს, რომ ოპოზიციის წარუმატებლობა მიზნის არარსებობამ, სტრატეგიის არქონამ და ცალკეული ოპოზიციონერების პირადმა ამბიციებმა გამოიწვია.

რაც შეეხება ახალი კონსტიტუციის პროექტს, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი მორგებულია იმაზე, თუ როგორ გაპრეზიდენტდეს გიგი უგულავა და როგორ შეინარჩუნონ მართვის ბერკეტები ბოკერიამ და მერაბიშვილმა, – განაცხადა მან.

– დღეს სააკაშვილის გუნდი არ არის გულხელდაკრეფილი და არ იბრძვის მხოლოდ არჩევნებში გამარჯვებისთვის. ეს არის რეპეტიცია, თუ როგორ მოხდება სააკაშვილის ჩანაცვლება სხვა ადამიანით, – აღნიშნა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

მისივე შეფასებით, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან წასვლაზე არ ფიქრობს და იგი პროცესებს მიღმა თავისი გავლენით, თავისი ბერკეტებით დარჩება.

## უკრაინამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა

**უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა საქართველოში 2005 წელს იარაღის გაყიდვასთან დაკავშირებით. ამის შესახებ გენერალური პროკურორის მოადგილემ რენატ კუზმინმა გაზეთ „სეგოდნიას“ განუცხადა. მისი თქმით, სახელმწიფო კომპანია „უკრობორონსერვისმა“ 2005 წელს 50 საზენიტო რაკეტა კერძო რუსულ-უკრაინული ფირმისგან შეიძინა, რომელსაც ლიცენზია არ აღმოაჩნდა.**

– შედეგად, ეს რაკეტები უცნაურ ვითარებაში საქართველოში აღმოჩნდა, რომელიც, შესაძლოა, 2008 წლის ზაფხულში შეიარაღებული კონფლიქტისას საომარი მოქმედებების დროს გამოეყენებინათ, – წერს გაზეთი „სეგოდნია“.

„კერძო კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებმაც სამეურნეო მოქმედების წესრიგი დაარღვიეს, საქმის აღძვრის დადგენილება გაასაჩივრეს. იმედია, ამ შუამდგომლობას სასამართლო არ დააკმაყოფილებს და გამოძიება ლოგიკურ ფინალამდე მივა, – განაცხადა კუზმინმა.

## რუსეთი შესაძლოა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდეს

**ამის შესახებ ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეზე ალექსანდრ გრუშკოზე დაყრდნობით ავრცელებს.**

– მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი არ იყო, ის მაინც ახორციელებდა თავის მოღვაწეობას, როგორც წევრი სახელმწიფო. დადგა დრო, როდესაც ეს ორი რეალობა უნდა გაერთიანდეს და თუ კეთილი ნება იქნება, ჩვენ წლის ბოლომდე ორგანიზაციის წევრი გავხდებით, – განაცხადა გრუშკომ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას1993 წლიდან ცდილობს. აღსანიშნავია, რომ ოფიციალური მოსკოვისთვის ვტო-ში გაწევრებისთვის საქართველოს თანხმობაა აუცილებელი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ახალი ინიციატივა**

# მრგვალი მაგიდა – „საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე“

**გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42“-ე მუხლის“ ორგანიზებით პროექტის „საზოგადოების მოთხოვნის გაზრდა უკეთეს კანონმდებლობაზე“ ფარგლებში მრგვალი მაგიდა გაიმართა. პროექტს აფინანსებს ამერიკული ორგანიზაცია, რომელიც მესამე წელიწადია მხარს უჭერს ქართულ ორგანიზაციებს.**



გუშინდელი მრგვალი მაგიდის თემა იყო „ხელისუფლების დანაწილება, ადგილობრივი თვითმმართველობა, სასამართლო და ადამიანის უფლებები კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით“. მრგვალი მაგიდა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარემ ნაზი ჯანეზაშვილმა გახსნა. შეხვედრაზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა კონსტიტუციის ახალი რედაქციის ზოგად საკითხებზე გაამახვილა ყურადღება. საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა გიორგი კვერენჩხილაძემ და თენგიზ შარმანაშვილმა ხელისუფლების დანაწილებისა და ბალანსის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს. სასამართლო ხელისუფლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ კი სპეციალური მოხსენება „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ ადვოკატმა და საკონსტიტუციო კომისიის წევრმა დიმიტრი ხაჩიძემ გააკეთა.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, საკონსტიტუციო კომისიის, თბილისის საქალაქო სასამართლოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პროექტის მიზანია მოქმედ კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური ნორმებისა და ხარვეზების გამოვლენითა და აღმოფხვრით ქართული კანონმდებლობის დახვეწა, დაზარალებულთა უფლებების დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოში და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საკონსტიტუციო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. მრგვალი მაგიდა სამ საათს გაგრძელდა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის დისკუსია გაიმართა.

**ხატია მუსერიძე**

◉ თქვენ რომ გგონიათ...

*საშუალო ასაკის მკითხველებს მაინც ეხსომებათ დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოში მონათხრობი პიონერის ამბავი, თავისი გამჭრიახობით სამგზავრო მატარებელი და უამრავი ადამიანი უეჭველ კატასტროფას რომ გადაარჩინა, როდესაც მემანქანეს წითელი ყელსახვევის ფრიალით ამცნო მოსალოდნელი განსაცდელი.*
*ახლა ამის ორიოდ თანამედროვე ანალოგს გაგაცნობთ.*

# ხომ გაგვაფრთხილა „პიონერმა", მეტი რა ექნა?!

**„თურქებს მოჰყავთ პომიდორი დახურულ გრუნტში ყოველგვარი მიწის გარეშე და მას საკვები ნივთიერება წვეთოვანით მიეწოდება. არ გაგიკვირდეთ, თუ გეტყვით, რომ პომიდორი მიწის ნაცვლად პემზის ქვაზეა ამოსული და მინერალებით იზრდება".**

**„...იმის შესახებ, რომ საქართველოში სპეციალური ტექნოლოგიით დიეტური პური არ ცხვება, ნებისმიერ მეწარმესთან შემიძლია ვიკამათო... შარშან საქართველოში მხოლოდ 2 ათასი ტონა ჭვავის ფქვილი შემოვიდა და ვინაიდან მისი ფასი ჩვეულებრივი ხორბლის ფასს დაახლოებით 6-ჯერ აღემატება, ქართველმა მეწარმეებმა, საკუთარი ფინანსების გაფრთხილების მიზნით, სიტუაციიდან გამოსავალი იპოვეს და დიეტური პურის სახით მომხმარებელს „დეკორატიული" პური შესთავაზეს... თუ რა ხდება რეალურად მსს-ს (მეწარმე, სუბიექტი, სტანდარტი) უკან, ეს უკვე გამჭვირვალე არაა"...**

**მოკლედ, ერთგვარი ჟარგონით თუ ვიტყვით, თქვენ რომ გგონიათ, ერბო ქონია, ისე არ არის საქმეო!**

**ანუო, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ლამის ჭოპორტულის დარ პომიდორს აგემოვნებთ და ზედაც ექიმის მიერ ნარჩევ, თქვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელ დიეტურ ჭვავის პურს აყოლებთო, თურმე სინამდვილეში ლამის სააღდგომო კვერცხივით შეფერილ, ოღონდ რუხად შეღებილ პურს მიირთმევთ გენმოდიფიცირებულ პომიდორთან ერთად, რის გამოც თქვენთვის გამოწერილი წამალიც მუდამ ვეღარ წამლობსო.**

— თუ მართლა ასეა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მთლიანად მთავრობა თუ არაფერს აკეთებს, შესაბამისი სამსახური მაინც არა გვაქვს? ხოლო თუ გვაქვს, მაგრამ უსაქმურობს, მაგ ვილაც ოჯახაშენებულის ასეთ საყურადღებო კონკრეტულ სიგნალებს მაინც არ უნდა მიაქციოს ყურადღებაო? — თითქოს ცხადად ჩამესმის გაღიზიანებული მკითხველის შეძახილი.

**„პილატე" ხელისუფლება, ხელფეხშეკრულ-გულხელდაკრეფილი ეროვნული სამსახური და ბედის ანაბარად მიტოვებულ-დაუცველი მომხმარებელი**



გვაქვს, როგორ არა გვაქვს, ჩემო ბატონო. თანაც უბრალო კი არა, ეროვნული სამსახური გვაქვს. დიახ, ასე ჰქვია: **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური.**

**უფრო მეტიც: არ გაგიკვირდეთო, რომ გვაფრთხილებს პირველ ამონარიდში, ეს სწორედ მაგ ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელის მაია მეტრეველის ენაპირით არის ნათქვამი.**

რაო, რა ბრძანეთ?

დაგეთანხმებით, როგორ არ დაგეთანხმებით, ბატონო, შეფასებაში, როცა სრულ სიმართლეს ბრძანებთ? სწორედაც რომ, ვინმე მოცლილ ჭორიკანას ან აბეზარ, ქრონიკულ ოპოზიციონერს კი არ უთქვამს ეს, თანაც, ერთგვარი ნიშნის მოგებით, არამედ სწორედ იმ სამსახურის ხელმძღვანელმა ბრძანა, ვისაც, წესითა და რიგით, ევალება ასეთი ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლა.

სწორედ მას, ერთადერთსა და განუმეორებელს, რადგან უკვე კარგა ხანია, ჩვენი დაუცხრომელ-მაძიებელი რეფორმატორების წყალობით, არ არსებობენ ადრინდელი მაკონტროლებელ-შემმოწმებელი ორგანოები — სანიტარიული ინსპექცია იქნება ეს თუ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები, მთავარი ექიმის სამსახური, ფიტოსამსახური და ა. შ.

სწორედ მათ ნაცვლად დაარსდა ამ სამიოდ წლის წინათ ზემოაღნიშნული ეროვნული სამსახური, რომელსაც, რატომღაც, შექმნისთანავე 2010 წლამდე აუკრძალეს რაიმეს გაკონტროლება თუ შემოწმება! ახლა ეს აკრძალვა კვლავ გააგრძელეს (?!ძ.

ამის შემყურეს უნებურად ერთი ძველი ანეკდოტი გაგახსენდება კაცს, პროფესორი მიხოს გამოცდაზე რომ ეკითხება, აბა, ჩამოთვალე, ბაღჩეულში რა შედისო.

— თუ კარი ღია დარჩა, კამეჩიც შეიძლება შეჯლიგინდესო, — უმალ უპასუხებია მიხოს.

და სწორედ კარლია ნათესების ან უპატრონო ეკლესიისა არ იყოს, სარეველაზე სწრაფად მოედო და დაეპატრონა ჩვენს ბაზარს უცხოური უვარგისი, გენმოდიფიცირებული ბოსტნეულ-ბაღჩეული თუ სხვა „ეშმაკი". მით უფრო, რომ საზღვარზე ნულოვანი დაბეგვრის რეჟიმია დაწესებული.

გამკითხავიც არავინ არის!

**დღევანდელი „პიონერი" მაია მეტრეველი კი, იმის ნაცვლად, რომ უშუალოდ საზღვარზე თუ არა, ბაზრების ან მაღაზიების დახლებზე მაინც „აპატიმრებდეს" უვარგის პროდუქციას, იმითღა კმაყოფილდება, რომ გვაფრთხილებს და თან ერთგვარად ყოყოჩობს კიდეც: ვინმე უვიცი და უინფორმაციო არ გეგონოთ, ვისაც გინდათ, დავენაძლევები, რომ ესა და ეს ნაწარმი უხარისხოაო(?!).**

მოკლედ, უკაცრავად კი ვარ შედარებისთვის, მაგრამ იმ ერთობ უპასუხისმგებლო მამალივით იქცევა, მე ვიყივლებ და, მერე გინდ გათენებულა და გინდაც სრულ სკვარამში დარჩენილა სამყაროო, რომ ამბობს.

**ანუო, თუ ადამიანურ ენაზე „მოვთარგმნით", მე გაგაფრთხილეთ და აწი, გინდ ნუ ჭამთ იმ უვარგის პროდუქციას და გინდაც სულაც დაწამლულ-დაავადებულხართო.**

ღირს ამის მერე, მკითხველო, კიდევ რაიმეს თქმა და კომენტარი?

ამ ჩვენს ბაქია ხელისუფლებას ყველაფერზე, რასაც თუნდაც მოსახლეობის თუ ადგილობრივი მეწარმეობის ინტერესების დაცვა ჰქვია, პილატესავით რომ ხელი აქვს დაბანილი, ყველა ვხედავთ. თავის მიერვე შექმნილ ერთადერთ ეროვნულ სამსახურს თავადვე რომ შეუკრა ხელ-ფეხი, ესეც ვიცით, მაგრამ **ის კი ვერაფრით გამიგია, რისთვის ღებულობენ ამ სამსახურის თანამშრომლები, ეს დღევანდელი პიონერები, საკმაოზე მეტად სოლიდურ გასამრჯელოს?**

იმ წითელყელსახვევიანმა პიონერმა ხომ სრულიად უანგაროდ ააცილა ხალხს საშინელი განსაცდელი!

**თუმცა მეც ვარ, რა! ეს ხომ მაშინ იყო, „საზიზღარი" კომუნისტების დროს. დღეს კი, გაბაზრებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში ხომ, რომელიმე ეროვნული სამსახურის ხელმძღვანელის რჩევა-გაფრთხილება კი არა, სათაგურში ვირთხის მისატყუებელი ყველის ნაჭერიც არ არის უფასო!**

**რუსლან რუსია**

◉ სათქმელი უნდა ითქვას

# ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლება ილუზიის შექმნის ტექნოლოგიასა და ბერკეტებს დიდებულად ფლობს



*საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობაზე, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების შანსებზე, იმაზე, თუ რამდენად მზადაა ხელისუფლება ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად, თუ რა პროცესებს შეიძლება ველოდოთ სახელისუფლებო გუნდში უგულავას დამაჯერებლად გამარჯვების შემთხვევაში და არჩევნების შემდეგ შეიძლება ველოდოთ თუ არა ქუჩის საპროტესტო აქციებს „ინტერპრესნიუსი" კულტუროლოგ ლელა იაკობაშვილს ესაუბრა.*

**— ქალბატონო ლელა, როგორ შეაფასებდით საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას? პოლიტიკური კულტურის განვითარების თვალსაზრისით მიმდინარე საარჩევნო კამპანიამ რა შემატა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას, პოლიტიკურ სუბიექტებსა და ამომრჩეველს?**

— საარჩევნო კამპანიები საკმაოდ აგრესიული იყო, ძალიან ხშირ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების მესიჯები საზოგადოებისათვის ყველაზე მტკივნეულ და აქტუალურ — დასაქმების თემაზე ერთმანეთს ფარავდა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებისათვის სრულიად გაურკვეველი დარჩა, თუ რატომ უნდა მისცეს დასაქმების მსურველმა ამომრჩეველმა ხმა ამა თუ იმ პოლიტიკურ სუბიექტს, როცა არც ერთ მათგანს დასაქმების სერიოზული პროგრამა არ წარმოუდგენია.

ჩემი აზრით, თბილისის მერობის ორი ფიგურა გიგი უგულავა და გოგი თოფაძე ერთმანეთს ძირითადი მესიჯებით ფარავდნენ. იმის გამო, რომ გოგი თოფაძის — „მოვდივარ საქმით და გპირდებით საქმეს" და გიგი უგულავას — „გასაკეთებელი კიდევ ბევრია", პრაქტიკულად ერთიდაიგივე მესიჯია, ამომრჩევლისათვის ძნელი იქნება მათ შორის არჩევანის გაკეთება, ვინაიდან დასაქმების რეალურ გზებზე არც ერთ მათგანს არ უსაუბრია.

დანარჩენების კამპანიებიც მეტ-ნაკლებად საინტერესო იყო, თუმცა მკვეთრად გამოხატული და განსაკუთრებული კრიტიკით არ გამოირჩეოდა. თითქმის ყველას საკმაოდ აგრესიული კამპანია ჰქონდა. სრულიად უარყოფით კონოტაციაზე იყო აგებული ზვიად ძიძიგურის საარჩევნო კამპანია და შემიძლია ვთქვა, რომ კამპანია, რომელიც დადებით კონოტაციას არ მოიცავს, კორექტულად არ ითვლება. ბევრი კანდიდატის კამპანია აშკარად უსახური იყო. რაც შეეხება სატელევიზიო კლიპებს, გულწრფელად ვამბობ, კრიატიულობით, შინაგანი მუხტით, მოწოდების სიახლით არც ერთი არ გამოირჩეოდა.

იხ. 4 გვ.

◉ ინფორმაცია

## იწყებენ აფხაზეთის რკინიგზის მოდერნიზაციას



**სოხუმის მარიონეტული რეჟიმი აფხაზეთის რკინიგზის მოდერნიზაციას ივნისის მეორე ნახევრიდან დაიწყებს.**

**ამის შესახებ ინფორმაციას „კავკაზკი უზელი" სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერზე სერგეი ბაღაფშზე დაყრდნობით იუწყება.**

**ბაღაფშის შეფასებით, რკინიგზის რეაბილიტაციაზე 2 მილიარდი რუბლი დაიხარჯება, მოდერნიზაციის შემდეგ რუსეთთან სარკინიგზო გადაზიდვების მოცულობა გაზრდება.**

**— პირველ ეტაპზე რემონტი ფსოუდან სოხუმამდე მონაკვეთზე, მეორე ეტაპზე კი სოხუმიდან ოჩამჩირემდე ჩატარდება. ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამჟამად მოსკოვამდე ერთი სამგზავრო ვაგონი მოძრაობს, რაც საკმარისი აღარ არის, —აცხადებს მარიონეტული რეჟიმის ლიდერი.**

**მისვე თქმით, ასევე იგეგმება ელექტრომატარებლის სოჭამდე ამოქმედება, რაც ფსოუს გამტარი პუნქტის განტვირთვას გახდის შესაძლებელს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## სათქმელი უნდა ითქვას

(მესამე გვერდიდან)

მეორე თემაა, როგორები გამოჩნდნენ პოლიტიკური ფიგურები საარჩევნო კამპანიის შემდეგ. არც ერთი არ ატარებდა იმ შინაგანი რესურსის ტოლფას მესიჯს, რომელიც კანდიდატებში რეალურად არსებობს. ყველა კამპანიას ეტყობოდა, თუ რა ფინანსური რესურსები აქვს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას. გიგი უგულავას კამპანია იყო ძალიან მდიდარი და აშკარა იყო, რომ მის კამპანიაზე ძალიან დიდი ფინანსები დაიხარჯა. მის კამპანიაში უხერხულობა გამოიწვია იმანაც, რომ მერიის პროგრამა „მე მიყვარს თბილისი", უგულავას კამპანიის ნაწილად იქცა.

# ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლება ილუზიის შექმნის ტექნოლოგიასა და ბერკეტებს დიდებულად ფლობს

რაც შეეხება იმას, პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით რა შესძინა ამ კამპანიამ ამომრჩეველს, ძნელი სათქმელია, რამდენადაც, როგორც ჩანს, საარჩევნო კამპანიის მიხედვით ამომრჩეველი გადაწყვეტილებას ძნელად მიიღებს. ამომრჩეველს ყველა პოლიტიკური სუბიექტი ერთსა და იმავეს პირდებოდა. ფინანსური რესურსის გამო გამორჩეული და მრავალფეროვანი იყო უგულავას კამპანია. მან თითქოს მოიცვა კიდეც ყველა ის პრობლემა, რაც საზოგადოებას აწუხებს. ეს კამპანია დრამატურგიით დაწყებული, აზრის გამოხატვის ფორმით დამთავრებული, ძალიან გავდა 2003 წლიდან მოყოლებულ ნაცმოძრაობის კამპანიას.

კამპანიის მსვლელობისას სიახლე პრაქტიკულად არცერთ კანდიდატს არ შემოუტანია. არცერთ კამპანიას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების თვალსაზრისით გარღვევა არ მოუხდენია. გია ჭანტურიას მესიჯმა დაბალ ტარიფებთან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟი კი გამოიწვია, მაგრამ ძნელი სათქმელია, დაუჯერებს თუ არა ამომრჩეველი ამ დაპირებების.

**— უმაღლესი თანამდებობის პირები ტელევიზიით კი აკეთებენ განცხადებებს, რომ არჩევნების შესახებ კანონის დამრღვევი პირები კანონის შესაბამისად დაისჯებიან, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ხელისუფლების მხრიდან სახელისუფლებო რესურსების გამოყენებაზე ამახვილებენ. თქვენი აზრით, რამდენად მზადაა ხელისუფლება და რამდენად ავლენს იგი იმის სურვილს, რომ დემოკრატიულობაზე ტესტი დასავლური სტანდარტებით ჩააბაროს?**

— ხელისუფლება ქმნის იმის ოპტიკას, რომ მას სურს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება. ხელისუფლება ცდილობს ასეთი სურათის შექმნას და ამას პოლიტტექნოლოგიის გამოყენებით ახერხებს კიდეც. ოპოზიციისაგან განსხვავებით, ხელისუფლება ილუზიის შექმნის ტექნოლოგიასა და ბერკეტებს დიდებულად ფლობს. ხელისუფლებამ არჩევნებთან დაკავშირებით გარეში თვალისათვის ისეთი ოპტიკა შექმნა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება. ამგვარი ტექნოლოგიების არც ბერკეტები და არც ფლობის კულტურა დანარჩენ პოლიტიკურ სუბიექტებს არა აქვთ. გასაგებია, რომ ეს თემა ფინანსების პრობლემასაც უკავშირდება, თუმცა მხოლოდ ფინანსებით არ შემოიფარგლება. ნებისმიერი ხელისუფლება ამ ბერკეტების გამოყენებაზე უარს არ იტყოდა, მაგრამ მეორე თემაა, თუ რამდენად ასახავს ეს იმ რეალობას, რომლის ტელევიზიით შექმნასაც ხელისუფლება ცდილობს.

იმდენად, რამდენადაც ეს არჩევნები პოლიტიკური არჩევნები არ არის, იგი არ უნდა ყოფილიყო მკვეთრი პოლიტიკური განწყობილებების მატარებელი. ამ არჩევნებზე მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა სოციალურ პრობლემატიკას. ხელისუფლებამ ძალიან კარგად გაიაზრა ის, რომ იგი არჩევნებზე პოლიტიკური ლოზუნგებით არ უნდა გამოსულიყო. ამით მას გარკვეულ წილად ამოსუნთქვის საშუალება მიეცა. ხელისუფლებამ სწორად გათვალა, რომ იგი პოლიტიკურ დისკურსში საზოგადოებას ახალს ვერაფერს შესთავაზებდა. პრობლემა იმაშია, რომ ვერც სხვა პოლიტიკურმა სუბიექტებმა შესთავაზეს საზოგადოებას ახალი პოლიტიკური დისკურსი. იმის გამო, რომ ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია, ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა პოლიტიკურ დისკურსს, სოციალური პრობლემების წარმოჩენა ამჯობინა. პარტიების ამოცანა იყო დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ ისინი მათი ინტერესების დამცველები არიან. ფაქტია, რომ თავად ამომრჩეველმა გადაჭარბებულად შეაფასა ადგილობრივი არჩევნების მნიშვნელობა. ეს არჩევნები თვითმმართველობის რიგითი არჩევნები უნდა ყოფილიყო, რომლის დროსაც შიდა პრობლემების მოგვარება გაცილებით მნიშვნელოვანია. იმის გამო, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა დაბალია, საზოგადოება ამ არჩევნებისაგანაც ელოდა პოლიტიკური ვექტორის გააზრებას.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიცია თბილისს ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილად განიხილავს, დამკვირვებელთა აზრით, ამ არჩევნების მთავარი ინტრიგა იმაშია, — შეძლებს თუ არა ხელისუფლება ოპოზიციის თბილისში დიდი ანგარიშით დამარცხებას? თქვენი აზრით, აქვს თუ არა უგულავას გაყალბების გარეშე თბილისელთა 50%-ზე მეტის მხარდაჭერის მოპოვების შანსი?**

— მოგეხსენებათ, არჩევნებში საკმაოდ ბევრი პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობს, და თუ ობიექტურები ვიქნებით, ყველა კანდიდატმა 3-3%-იც რომ მოიპოვოს, 30 პროცენტი მაინც გამოდის. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ მერობის რამდენიმე კანდიდატი ხმათა 3%-ზე გაცილებით მეტს მიიღებენ. უგულავას პოზიციები საკმაოდ მყარია, მაგრამ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანთა რაოდენობა 50%-ზე გაცილებით მეტია. ოპტიკა, რომელსაც თითოეული პოლიტიკური სუბიექტი და მერობის კანდიდატი ქმნის, არ აძლევს მოსახლეობის საშუალებას, რომ მათ ძალიან მყარი პოზიცია ჰქონდეთ გიგი უგულავას წინააღმდეგ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ურთულესი აქ იქნება სხვა თემა. მაშინ, როცა სახელისუფლებო გუნდის რეიტინგი 40%-ზე გაცილებით ნაკლებია, უგულავამ რომ ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი აიღოს, ეს სახელისუფლებო გუნდში კონფლიქტს და ძალთა გადანაწილებას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ ბერკეტებს ფლობს, ის უგულავას პროცენტების მიმართ ფრთხილი იქნება.

**— რა ცვლილებებსა და ძალთა გადანაწილებას შეიძლება ველოდოთ იმ შემთხვევაში, თუ უგულავამ თბილისელთა ხმების 50%-ზე მეტის მოპოვება შეძლო?**

— ეს პოლიტიკური პროცესების სხვაგვარად დალაგების წინაპირობას შექმნის. თუ უგულავამ ხმათა 50%-ზე მეტი მიიღო, ეს, ფაქტი შესაძლოა სახელისუფლებო გუნდში გავლენის გარკვეული ცენტრების უგულავას სასარგებლოდ გადანაწილებას დაუკავშირდეს. იმის გამო, რომ მერის არჩევნებში ძალიან ბევრი პოლიტიკური სუბიექტი მონაწილეობს, პირადად მე, უგულავას ამგვარ გამარჯვებაში, სადაც ის 50%-ზე მეტ ხმას აიღებს, ძალიან ეჭვი მეპარება.

**— რამდენად დიდია არჩევნების შემდეგ ე.წ. „ჭექა-ქუხილისა" და საპროტესტო აქციების დაწყების ალბათობა. თქვენი შეფასებით, არჩევნების შემდეგ ქუჩაში პოლიტიკურ ვნებათაღელვას უნდა ველოდოთ თუ ვითარების განეიტრალებაში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების იმედზე უნდა ვიყოთ?**

— საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი რეალურად არსებობს, მაგრამ ხელისუფლებას პოზიცია უფრო იმიტომაც აქვს გამყარებული, რომ არ არსებობს ალტერნატიული ოპოზიციური ცენტრი, რომლის გარშემოც საზოგადოებაში არსებული საპროტესტო მუხტი გაერთიანდებოდა. ამიტომ, არჩევნების შემდეგ ქუჩაში საპროტესტო აქციების დაწყების ალბათობა რეალურად არ არსებობს. თუ თავად ხელისუფლებაში არ მოხდა ძალთა გადანაწილება, ხელისუფლების გარეთ არ ჩანს ის პოლიტიკური სუბიექტი, ვინც საპროტესტო განწყობილებებსა და ენერგიას გააერთიანებდა და ქუჩის პროცესებს წარმართავდა.

თუ საპროტესტო მუხტი ქუჩაში მაინც გაჩნდა, ამ მუხტის ჩაქრობას ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყება ძალიან მიეშველება. შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ხელისუფლებამ არჩევნების დასრულება ჩემპიონატის დაწყებას სპეციალურად დაამთხვია, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით დრო სახელისუფლებო ძალის სასარგებლოდ მუშაობს.

**კობა ბენდელიანი**

## არჩევნები

# საორგანიზაციო ცვლილებები ფაზისის საერო აკადემიაში

**გუშინ გაიმართა ფაზისის საერო აკადემიის სესია, რომელმაც აკადემიის პრეზიდიუმის წარდგენით განიხილა ორგანიზაციული საკითხები.**


ნუგზარ ნადარაია

სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ფაზისის საერო აკადემიის აწ უკვე გარდაცვლილი პრეზიდენტის, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერის, აკადემიკოს ცოტნე მირცხულავას ნათელ ხსოვნას.

ქართული ცივილიზაციის კვლევის, კოლხეთის ისტორიის შესწავლის, პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი პირადი წვლილისთვის აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს შემდეგი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: **კლიმენტ შელია, მამანტი ძაძამია, ომარ ხუხუა, გია კვაშილავა, გივი (გია) ელიავა, კოჩა კოლხი, სოკრატ სალუქვაძე, ჯუმბერ ლეჟავა, ბაკურ გულუა, ჯუმბერ კუცია, ვანო მეგრელი, ნათელა ფოფხაძე, გივი გვასალია, ბადა სოფია, გვანჯი მანია, ტატა დიოსკურელი, ალეკო გვასალია, ზურაბ აბშილავა, თამაზ ჩადუნელი, დარეჯან კვარაცხელია, სოსო სიგუა, იგორ კვესელავა, რაულ ჩილაჩავა, დილარ ივარდავა, ჯემალ ჯიქია, ციალა მესხია, ლუარა სორდია, ილია პატაშური, რეზო ადამია, სარაბ ხოჭოლავა, როლანდ ჯალაღანია, ნიკო ხერკელაძე.**

აკადემიის პრეზიდიუმის რეკომენდაციით, სესიამ აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი **ლიანა წურწუმია** აკადემიის მუშაობის აღდგენიდან — 1996 წლიდან დღემდე გაწეული მეტად დიდი, შრომატევადი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის იმავდროულად აირჩია **აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.**

აკადემიის თბილისის სათავო ორგანიზაციის კოორდინატორი **რუსლან რუსია** აირჩიეს აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

პოეტი **ვაჟა ეგრისელი** არჩეულია აკადემიის **ვიცე-პრეზიდენტად** ორგანიზაციულ საკითხებში, აკადემიის რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციებისა და განყოფილებების კურატორად.

აკადემიის სამეგრელოს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულია ცნობილი მკვლევარი და პუბლიცისტი **ანზორ შონია.**

აკადემიის რუსთავის საქალაქო განყოფილების კურატორად არჩეულია ცნობილი პოეტი **გულნაზ ხარაიშვილი,** რომელიც ასევე შეყვანილია აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

აკადემიის რაჭის რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად არჩეულია **მამა ავთანდილი (გიორგობიანი).**

სესიამ ასევე განიხილა აკადემიის თანაპრეზიდენტისა და პრეზიდენტის არჩევის საკითხი.

აკადემიის პრეზიდიუმის წინადადებით, ბატონი **გივი გავარდაშვილი,** დოქტორი, პროფესორი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, ჭეშმარიტი ცოტნეიდელი აირჩიეს აკადემიის **თანაპრეზიდენტად** და შეიყვანეს აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

აკადემიის თანაპრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი **ნუგზარ ნადარაია** აირჩიეს **ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტად.**

ამით ფაზისის საერო აკადემიის სესიამ მუშაობა დაასრულა.

**დალი დოჩია**

## ინფორმაცია

### აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებს საქართველოს საკითხი დაარეგულირებს

**საქართველოში** არსებულმა ვითარებამ დიდი გავლენა იქონია აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებზე. განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ვაშინგტონში ახალ უსაფრთხოების დოქტრინაზე საუბრისას.

— როდესაც რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვა დავიწყეთ, მოგვიწია პასუხისმგებლობის აღებამ იმაზე, რომ ეს ურთიერთობები გზას იყო აცდენილი. ჩვენს შორის დიდი უნდობლობა სუფევდა და ძალიან განსხვავებულად ვხედავდით მსოფლიოს. ამაზე გავლენა იქონია საქართველოში არსებულმა ვითარებამაც, — განაცხადა ჰილარი კლინტონმა სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, ახლა აშშ-სა და რუსეთის შეხედულებები მსოფლიოზე ერთმანეთს მეტად ემთხვევა.

კლინტონმა ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის ძირითად საკითხებზეც ილაპარაკა და პარტნიორებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. მან ირანის საკითხთან მიმართებაში ბრაზილიისა და თურქეთის პოზიციები გააკრიტიკა.

### მებაჟის ხელშეწყობით ტექნიკა „ლევად" გააპარეს!

**ფინანსთა** სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საქართველოს საბაჟო საზღვარზე სხვადასხვა საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანის ფაქტზე რამდენიმე მოქალაქე და მებაჟე დააკავა.

როგორც საგამოძიებო სამსახურიდან იტყობინებიან, დაკავებული არიან ნიკა გაბადაძე, მუხრან ჭუმბურიძე და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო-გამშვები პუნქტის ოფიცერი, ცვლის უფროსი შოთა მიქაძე.

გაბადაძემ და ჭუმბურიძემ დუბაიდან საქართველოში კონტრაბანდული გზით, თბილისის აეროპორტის გავლით ათეულობით მობილური ტელეფონი, კომპიუტერული ტექნიკა, ფოტოაპარატები და ავტომანქანის ნაწილები შემოიტანეს. სულ კონტრაბანდული საქონლის საბაზრო ღირებულებამ 50 000 ლარი შეადგინა, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა.

საბაჟოს ოფიცერმა შოთა მიქაძემ კი ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება და საშუალება მისცა გაბადაძესა და ჭუმბურიძეს, ტვირთი განბაჟების გარეშე გამოეტანათ აეროპორტიდან.

ჯი-ეიჩ-ენი

ჟურნალისტური გამოძიება

# დანაშაული, რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასია

# გზები, გზები და ისევ გზები!



პრეზიდენტი სააკაშვილი ისე არსად გამოვა, უკანასკნელ წლებში ქვეყნის ტერიტორიაზე გაყვანილი ავტომაგისტრალებით არ წაიტრაბახოს. თუმცა მას ერთხელაც კი სიტყვა არ დასცდენია იმ დარღვევებსა და დანაშაულობებზე, რაც ამ გზების მშენებლობისას ხდება. წერილში სწორედ მათზე გვსურს გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისი-სენაკი-ლესელიძის" საერთაშორისო ავტომაგისტრალის „იგოეთი-სვენეთის" 15-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომლის მოდერნიზაციის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების ღირებულების უმეტეს ნაწილს აფინანსებს მსოფლიო ბანკი, ხოლო დანარჩენს – საქართველოს ბიუჯეტი.

სამუშაოების პროექტი 2006 წელს შეადგინა ესპანურმა შპს „ინოქსამ" რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (მაშინდელი თავმჯდომარე – რომან დალაქიშვილი) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. საპროექტო გათვლების საფუძველზე „იგოეთი-სვენეთის" მონაკვეთის მოდერნიზაციის ღირებულება შეადგენს 134 მილიონ ლარს.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ამ პროექტს 2006 წლის მიწურულს ჩაუტარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც ის (პროექტიძ შეფასებულია უარყოფითად, ამის მიუხედავად ხსენებულმა დეპარტამენტმა მაინც ჩაატარა სამშენებლო ტენდერი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. ტენდერში გამარჯვება „მოიპოვა" ისრაელის შპს „აშტრომ ინტერნეიშენელმა". სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო თანხებს საქართველოს მხარე ურიცხავს „აშტრომ ინტერნეიშენელს", სინამდვილეში კი მის მიერ ნაკისრ სამუშაოებს ასრულებს შპს „აშტრომ კონტრაქტინგ ჯორჯია".

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ამჟამინდელი ხელმძღვანელის რამაზ ნიკოლაიშვილის დაჟინებული მოთხოვნით, 2006 წლის ოქტომბერში შპს „აშტრომ კონტრაქტინგ ჯორჯიასთან" ხელშეკრულებები გააფორმეს ჩვენი ქვეყნის რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა, რომელთაც დროულად შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ დამკვეთისგან დღემდე ერთი თეთრიც ვერ მიიღეს. და ეს მაშინ, როცა საგზაო დეპარტამენტმა შპს „აშტრომ ინტერნეიშენელს" კარგა ხანია ჩაურიცხა აღნიშნული სამუშაოების სრული ღირებულება, რაც მნიშვნელოვნად აღემატება იმ თანხას, რომლის მიღების იმედი სამამულო ორგანიზაციებმა დაკარგეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა სააგენტომ წერილობით ორჯერ მიმართა ისრაელის საელჩოს საქართველოში, მაგრამ დღემდე პასუხი არ გვღირსებია. ამან ოდნავადაც არ იმოქმედა დეპარტამენტის თავკაცთა სინდისზე, რომელთაც ავტომაგისტრალის ხსენებული მონაკვეთის დიდი ნაწილი საზეიმოდ, პომპეზურ ვითარებაში გახსნეს.

ასეთ დროს ბუნებრივად გაგვიჩნდა კითხვა: შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ავტომაგისტრალის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის" „იგოეთი-სვენეთის" მონაკვეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნორმატიულ მოთხოვნებს? ამ დარგის საერთაშორისო დონის გამოცდილების მქონე სპეციალისტის, პროფესორ **კოტე მჭედლიშვილის** აზრით, უბრალო, ვიზუალური დაკვირვებაც კი საკმარისია იმისათვის, რომ დარგის ნებისმიერ სპეციალისტს ჩამოუყალიბდეს შეფასებები:

**გზის ცალკეული მონაკვეთების გრძივი ქანობები დიდია და არ შეესაბამება ავტომაგისტრალზე დასაშვებ სიდიდეებს, მოსახვევები ძალზე მკვეთრია და მათი პარამეტრები ასევე შეუსაბამოა ავტომაგისტრალებზე დასაშვებ სიდიდეებთან; ტრასა ძალზე ხშირად იცვლის მოხაზულობას, რაც მძღოლისთვის გაუგებარს ხდის შემდგომი მონაკვეთის მიმართულებას, არასაკმარისია მხედველობის მანძილები, როგორც გეგმაში, ისე გრძივ პროფილში; საანგარიშო სიჩქარეა 120 კმ/სთ-ში. ამ სიჩქარით თუნდაც მონაკვეთზე დაშვებული 90-110 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილებისას ძალზე ძნელი იქნება ავტომობილის უსაფრთხო მართვა, განსაკუთრებით წვიმასა და თოვლში; ამ შემთხვევაში შესაბამისი სამსახურები იძულებული გახდებიან, გზის ამ მონაკვეთზე განათავსონ მოძრაობის სიჩქარის შემზღუდველი, აგრეთვე გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები.**

უმაღლესი კატეგორიის ავტომაგისტრალისთვის ყოვლად მიუღებელია ასეთი დარღვევები. ის, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის პრესტიჟზე და ათეული წლების განმავლობაში მიაყენებს მოსახლეობას ეკონომიკურ, ფიზიკურ და მორალურ ზიანს.

**ავტომაგისტრალის გაუმართლებლად მიხვეულ-მოხვეულმა მონაკვეთებმა ის 10-15 პროცენტით დააგრძელეს და შესაბამისად გაზარდეს მშენებლობის ღირებულება. ეს, თავის მხრივ, გააძვირებს მგზავრობის და ტვირთების გადაზიდვის ღირებულებასაც. არასაკმაო მხედველობის მანძილი, მკვეთრი მოსახვევები და აღმართ-დაღმართების ხშირი ცვალებადობა ასევე მნიშვნელოვნად გაზრდის ავარიების რაოდენობას და მათ სიმძიმეს.**

ბატონ კოტე მჭედლიშვილის შეფასებებს მთლიანად იზიარებენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდების და გვირაბების დარგის პროფესორი **თამაზ ჭურაძე**, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი დავით ბურდულაძე – მათი თქმით, „ინოქსას" პროექტი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მათთვის მიუღებელია, როცა ავტომაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთის პროექტის შესრულებას დამკვეთი (საავტომობილო გზების დეპარტამენტიძ ავალებს სულ სხვადასხვა ორგანიზაციას.

დასახელებული სპეციალისტებისთვის გაუგებარია, დამკვეთმა რატომ აუარა გვერდი ქართულ შპს „ ტრანსპროექტს", რომელმაც მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულა ამ ავტომაგისტრალის პირველი მონაკვეთის პროექტი, ან შპს „ზიმოს", რომელმაც ასევე კვალიფიციურად შეასრულა აღნიშნულ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები. იმიტომ ხომ არა, რომ თავის გასამართლებლად დეპარტამენტი ამოფარებოდა „მსოფლიო ბანკის", როგორც კრედიტის გამცემი ორგანოს, ე.წ. „მოთხოვნებს?!

შედეგად რა მივიღეთ? „მსოფლიო ბანკი" თავისი კრედიტით, ფაქტობრივად, ანადგურებს საქართველოს საავტომობილო გზების დარგს, ხოლო სამამულო ორგანიზაციებს უკარგავს რეალურ შანსს, დაადგნენ მატერიალურ-ტექნიკური განვითარების გზას და ამას ყველაფერს ეთანხმება დამკვეთი – საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა „მსოფლიო ბანკთან" ერთად ხელოვნურად შექმნა კვალიფიციური ქართული საგზაო-საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციებისთვის მიუღებელი სატენდერო პირობები, რომლის შედეგად იმარჯვებენ უცხოური ორგანიზაციები. ამ შემთხვევაში ლაპარაკია შპს „ინოქსაზე", რომლის პროექტი უკიდურესად დაბალი დონისა აღმოჩნდა. მასში გამოვლენილი არსებითი ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად, იგი უმნიშვნელო შესწორებების შემდეგ მაინც გადაეცა გენმოიჯარადეს შესასრულებლად, რის უფლებაც საგზაო დეპარტამენტს არ ჰქონდა.

ამასთან, სპეციალისტების შეფასებით, პროექტის სახარჯთაღრიცხვო ნაწილი უსაფუძვლოდ გაბერილია, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად გამოყენებაზე. ექსპერტთა გაანგარიშებით ავტომაგისტრალის „იგოეთი-სვენეთის" მონაკვეთის მშენებლობის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 100 მილიონ ლარს, რაც პროექტით გათვალისწინებულზე 34 მილიონი ლარით ნაკლებია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა იცოდა, რომ ავტომაგისტრალის საპროექტო ღირებულება არ შეესაბამებოდა რეალურ საბაზრო ფასებს, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც დათანხმდა. ეს პირდაპირ მიუთითებს დამკვეთის მხრიდან სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულზე, რაც, ფაქტობრივად, სამშობლოს ღალატის ტოლფასია. სხვას ვერაფერს დაარქმევ ამას, როცა დამკვეთი საკუთარი ქვეყნის საზარალოდ იცავს უცხოური კომერციული სტრუქტურის ინტერესებს.

**მოვითხოვთ, სპეციალურმა კომისიამ შეისწავლოს ეს საქმე და მისი დასკვნის საფუძველზე დანაშაულის მონაწილე ყველა პერსონამ აგოს პასუხი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, რათა აღარ განმეორდეს ანალოგიური შემთხვევები, მით უფრო, რომ იგივე სახელმწიფო ორგანიზაციებსა და პირებს დავალებული აქვთ ამ მაგისტრალის შემდგომი მონაკვეთების დაპროექტების და მშენებლობის საკითხების გადაწყვეტა.**

ამასთან, ჩვენი სააგენტო მიმართავს საქართველოს კონტროლის პალატის მთავარი პროკურატურის და შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261 და 263 მუხლების საფუძველზე მიიღონ სათანადო ზომები, რათა მსგავსი დანაშაულის ჩადენა სამომავლოდ ველარავინ გაბედოს.

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე"

ხუმარსიტყვა

# წყლის სანაყი დაპირებები

**ახლა ვიხსენებ სამაისო-საარჩევნო დანაპირებთ. ოოჰ! – აღმოგხდება ოხვრა, აბა, რა იქნება! 30 დღის განმავლობაში, წარამარა ერთი და იგივე დაპირებების მოსმენა კი არა, ხიზილალისა და ორაგულის ჭამა მოგბეზრდება კაცს.**

ახლა არ გაინტერესებთ, რა დღეში ჩამაგდო მაისში დაუსრულებელმა დაპირებებმა, ხრუშჩოვის საკომუნიზმო დაპირებები რომ გამახსენა?

ყველაზე მეტად სლოგანი – „მოვდივარ საქმით" მომეწონა. ვფიქრობდი, იმ სლოგანის ავტორი ლუდს მაინც დამალევინებს-მეთქი უფასოდ, წყალგაურეველ ლუდს-მეთქი. არ გამოვიდა! მოვიდა საქმით და წავიდა უსაქმურად. არც ლუდი შემრჩა და – აღარც წყალი. სალუდე ნერწყვი ყელში შემაშრა.

ჰო, წყალმა არ შემახსენა თავი? მთელი თვეა, წყალი არ დამილევია. ერთი კანდიდატი აკი გვპირდებოდა – წყალი უფასოდო. ჰოდა, მთელი მაისი ონკანისთვის ხელი არ მიმიკარებია. კახურს ვწრუპავდი წყლის მაგივრად, ოღონდ ჩემი ფულით ნაყიდს კი არა, მუქთას – თუ ვინმე დამპატიჟებდა. წინასაარჩევნო პერიოდში კიდევ ერთი ახალი რეკლამა გაჟღერდა: საქართველოში ბევრი ლუდი დაილია, მაგრამ დასალევი კიდევ ბევრია. არც ერთ კანდიდატს არ წამოსცდენია – უფასოდო!

ჰო, წყლის ფული კი დავზოგე, მაგრამ ფეხსაცმელმა მიღალატა. ერთი კანდიდატი ხომ გვპირდებოდა, მგზავრობა 10 თეთრიო. ვიარე ფეხით მთელი თვეა და... წყვილი ფეხსაცმელი კი მივაცვითე იმ დაპირებებით დაიმედებულმა.

ჩემი საოჯახო ბიუჯეტი ცოლმა გამინადგურა – ორსულად იყო და შევეხვეწე, მაისში არ შობო ბალღანა და, მერე მშობიარობა უფასო იქნება-თქო. დამიჯერა გგონიათ?! არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე მწარედ გაიჭინთა. იჭინთა, იჭინთა და... სწრაფად – ჩაჩავაშიო! ტყუპები არ შობა, კაცო! ერთის მშობიარობის ფული არ გამაჩნდა და ამან გოჭებივით არ დაყარა ბაღნები? კიდევ კარგი, ერთი მდიდარი უშვილძირო კაცი გამომეცხადა და, ტყუპისცალი დამითმეო. ტყუპისცალის დათმობით მიღებული თანხით მეორე ტყუპისცალის მშობიარობის ფული გადავიხადე. მაშინ ერთი რეკლამა გამახსენდა. ასე ჰქვია: „შეიძინეთ უმაღლესი ხარისხის გერმანული პრეზერვატივი სიკო". ჰო, ჰო... სიკოსთვის რომ დამეჯერებინა, ტყუპისცალის მშობიარობის ფულიც არ მექნებოდა გადასახდელი.

ერთი მაჟორიტაროზის დეპუტატის რეკლამამ კი, მართალი გითხრათ, შიში მომგვარა. მან გვაუწყა: ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, ყველა ოჯახის წევრი ვიქნებიო. შეხედეთ, რა თქვა! ჩემს ცოლ-შვილს ძლივს ვარჩენ და... ახლა ამ მაჟორიტაროზის რჩენა არ გინდა?!

ხვალ დამთავრდება არჩევნები. ახლა ველოდები, რომელი დანაპირები როდის აგვიხდება. ცოლს ვეუბნები, სნიკერსი მომიტანე, ცოტას, სულ ცოტას წავუსნიკერსებმეთქი. რას გაიმეტებდა, თვითონ გიჟდება სნიკერსზე. ელარჯი შემომიტანა. ავდექი და კაი მადიანად წავუელარჯე, მაჟორიტარების ჯინაზე!

**ანზორ გვარამია**

ფრიდონ ხალვაში – 85

# მარად ახალგაზრდა კაცად გშვა ბედისწერამ



ძმაო ფრიდონ!

ერთად გატარებული ქეიფები ბევრი გვქონდა, მაგრამ დაუვიწყარია აჭარის მთებში, შენი პატარა სახლის აივანზე გამართული სუფრა შენი თამადობით.

სადღეგრძელოებში ხან კაცთმოყვარეობისა და სიყვარულის უმძიმესი ტვირთით ამოვსებული ზურგჩანთა გეკიდა და ამაყი იყავი, რომ სიმძიმე კი არ გდრეკდა – გსიამოვნებდა და მხრებგაშლილს გასაუბრებდა.

ხან ოქროს თორაზჯრით აღჭურვილი, ხმალამოწვდილი რაინდი იყავი და გიხაროდა, რომ ჩვენმა სამშობლომ მრავალი ტანჯვით, განსაცდელითა და თავგანწირული ბრძოლით დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ხან ენამჭევრი და გონებამახვილი მგოსანი იყავი და არ ვიცი, ეს პოეტური სახე – „მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ, მე შენი მიწის ერთი კენჭი ვარ, მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ“... – იმ დროისთვის შექმნილი გქონდა თუ არა, მაგრამ ლექსივით ლამაზი დამახსომდი...

ჩემო ფრიდონ, მაღალ ღმერთს ვემუდარები, ნუ მოაკლებს ჩვენს აჩეხილ-დაჩეხილ სამშობლოს შენისთანა შვილებს...

მხოლოდ ეს გვიხსნის ნადგურის ცემისაგან. მხოლოდ შენისთანა კაცები მოუტანენ ქართველ ერს მომავალ სიცოცხლეს. არ შეგადრკოს სიბერემ, მარადის ახალგაზრდა კაცად გშვა ბედისწერამ. გეხვევი და მომავალ უხანგრძლივესობას გისურვებს შენი ძმა –

ჭაბუა ამირეჯიბი.
17.05.2010 წ.

## კიდევ ერთი აღმოჩენა ქართული ენის უსაზღვროებისა

დავამთავრე „ომრის“ კითხვა, დავფიქრდი რა წავიკითხე, პოეზია თუ პროზა, ტექსტი ლექსივით იკითხება. ეს პოეტის პროზაა, პოეტური პროზა, ბუნებრივობით გამორჩეული აჭარულ-ლაზური დიალექტის საოცარი სურნელით, კიდევ ერთი აღმოჩენა ქართული ენის უსაზღვროზისა.

მე მქონდა ბედნიერება, წლების მანძილზე ახლოს ვყოფილვიყავი ბატონ ფრიდონთან, ერთად ვმოღვაწეობდით რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში. ასე რომ, ყოფით კარგად ვიცნობ ბატონ ფრიდონს, ის კეთილმოსურნე და სანდოა. მაღალმა ღმერთმა მრავალი ნიჭი უბოძა, მათ შორის სრულიად განსაკუთრებული – სიძულვილის არქონის ნიჭი. ბატონ ფრიდონს, მერაბ კოკოჩაშვილს და მე ხშირად გვირჩევდნენ ხმის დამთვლელ კომისიაში, სხვებზე ადრე ვიგებდით შედეგებს. ბატონი ფრიდონისთვის ყველა შედეგი მძიმე იყო, ყველაზე წუხდა, ყოველთვის რჩებოდა რამდენიმე ღირსეული ნომინანტი, მოდით კიდევ ერთხელ გადავამოწმოთო, იტყოდა, თუმცა სამჯერ უკვე იყო გადამოწმებული.

ბატონო ფრიდონ „ომრის“ წინასიტყვაობაში მოკრძალებით ამბობთ – „უჩემობა მწერლობას ჩვენსას არ დაეტყობოდა, უიმისოდ კი მე ცოდვა ვიქნებოდიო“. ქართული მწერლობა მართლაც ცოდვა იქნებოდა უთქვენოდ. მას ბევრი, ძალიან ბევრი რამ დააკლდებოდა.

ვრჩები თქვენს უერთგულეს მკითხველად.

ვახტანგ დავითაია.
17 მაისი 2010 წ.

# მთლიანი საქართველოს პოეტი

85 წელი იმდენად მნიშვნელოვანი თარიღია, რომ შეიძლება, ერთგვარად, გამარჯვებადაც კი მივიჩნიოთ ამ ჩვენს დაუნდობელ წუთისოფელში და, ამავე დროს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რამდენად უმწეოა არითმეტიკა ადამიანის ცხოვრებასთან მიმართებით, მით უმეტეს, როცა ეს ცხოვრება შემოქმედებითი ენერგიითა დამუხტული.

შემოქმედება ადამიანს, უმეტეს შემთხვევაში, ტანჯვით კი ავსებს, მაგრამ სამაგიეროდ მის ცხოვრებას, მის ამქვეყნიერ ყოფნას, მართლაც რომ უსაზღვროების განცდით ამძაფრებს. „დღეს დავიბადე, თუ დღეს დავბერდი“-ო, ამბობს პოეტი ამ ერთი შეხედვით უცნაურ ფრაზას, მაგრამ სინამდვილეში ზუსტად აღნიშნავს შემოქმედებითი აქტის სიდიადეს, როცა ნაწარმოებთან თავად ავტორიც იბადება, თითქოს პირველად ევლინება ამ ქვეყანას.

ფრიდონ ხალვაში მთლიანი საქართველოს პოეტია, იმ საქართველოსი, რომლის რუკაც დავითის ხელითაა შედგენილი და ყველა ქართველისთვის ორიენტირადაა ქცეული.

„მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული“.

ამ სიტყვებს თითქოს მთელი, ფეხზე წამომართული აჭარა წარმოთქვამს, ციხედ ქცეული, ათასჯერ დალეწილი, მაგრამ დაუმარცხებელი ქართული სიტყვა, ქართული ენა გადამრჩენ ძალად რომ უქცევია.

ჩვენი პოეტი საქართველოს იმ უძვირფასესი კუთხით შვილია, რომლის ცასაც სარკესავით აურეკლავს სახეები ანდრია პირველწოდებულისა, რუსთაველისა და ბრძენი აბუსერიძისა, რომელიც ვარსკვლავთა იეროგლიფების ამოკითხვით სამყაროს საიდუმლოს ამოხსნას ცდილობდა სწორედ ასეთ უკვდავ მნათობთა შუქზე. როგორც მორევზე გადებულ ცისარტყელაზე, გადადიოდა ჩვენი ხალხი არყოფნის ნაპირიდან სიცოცხლის სანაპიროზე და ეს იყო ქართული მისტერია, რადგან ჩვენი გადარჩენა მხოლოდ იდუმალ ძალას შეიძლება მიეწეროს, რომელსაც ჩვენთვის ჩვენივე ენა განასახიერებდა, ღმერთმა სულივით რომ ჩაგვიდგა და ამით უკვდავებისთვის გაგვამზადა. ამ ენის წყალობითაა სწორედ თუნდაც ჩვენი პოეტის სტრიქონებშიც მხურვალე ლავასავით რომ მოედინება „სამშობლოს სისხლი“ და თანდათანობით იბადება კიდევ ერთი ახალი ქართული სიტყვა – ლექსად ქცეული ცოცხალი არსება:

„იქ ჯაოგიდან აფრინდა ყანჩა,
კაცის სხეულზე წაიქცა ისლი...
ჰაერში თოფის ცივი ხმა ჩარჩა,
ჩალაზე წვეთავს მდუღარე სისხლი.

შენ იცი კარგად, კვნესაა ვისი,
სხვა ფიქრობს – ყანჩის აფრენას
დარდობს...
რა ფერისაა სამშობლოს სისხლი –
შენ კარგად იცი,
ძვირფასო შანდორ!“

ეს შანდორ პეტეფისადმი – სამშობლოს გათავისუფლებას შეწირული ჭაბუკი პოეტისადმი – მიძღვნილი ლექსი შედევრია ახალი ქართული პოეზიისა, რომელსაც, და ესეც, ალბათ, უსათუოდ უნდა ითქვას, განსაკუთრებული როლი მიუძღვის ჩვენი თავისუფლების მიღწევასა და დამკვიდრებაში.

ვფურცლავ მისი ლექსების წიგნს, თითქოს რაღაცას ვეძებ და ვპოულობ კიდეც:

„მინდორში იდგა პატარა სახლი,
პატარა სარკმლით, პატარა ბუხრით,
ვეება მუხას, ჟამთასვლით დაღლილს,
იმის კედელზე მიედო მუხლი.

მინდორში იდგა პატარა სახლი,
და ქარი ქროდა ტყეების მხრიდან,
და შემოდგომა ცივი ცახცახით
მოყვითლო ფოთლებს ეზოში ყრიდა.

პატარა სახლზე იჯდა არწივი,
პატარა ჩრდილი მიჰქონდა ღელეს...
და ბერი მუხა ბერიკაცივით
იისფერ კვამლზე ითბობდა ხელებს...“

რაღაც დამთავრდა თითქოს, დამთავრდა, თუ მოგონებებში განაგრძობს ცხოვრებას, თუ სიმარტოვის სევდა, მართლაც ფოთოლივით ეფინება გარემოს... და ამ დროს ისევ ჩვენი პოეტის სიტყვები მახსენდება: „ამ ტყვილ დუნიაზე ისეთი რამ არ ჩამიდენია, საიქოსი მეშინოდეს“...

ასეთი რწმენით კიდევ დიდხანს შეიძლება ამ „ტყვილ დუნიაზე“ ცხოვრება. დარწმუნებული ვარ, ასედაც იქნება!

თამაზ ჭილაძე.
16.05.2010 წ.

ვერნისაჟი

# მრთად შემდეგლნი ცხოვრების შღელში

**სახვითმა ხელოვნებამ იცის „ტანდემი“ მეუღლე-მხატვართა, ამ მხრივ არც ქართული სინამდვილეა გამონაკლისი და სასიამოვნოა, რომ აგერ, ჩვენს დღეებშიც გვხვდებიან ისინი – გვერდიგვერდ მცხოვრებნი, გვერდიგვერდ მოღვაწენი...** აი, მაგალითად, ახალგაზრდა მხატვრები – შესანიშნავი ოჯახის პატრონები – **მანუჩარ ოქროსცვარიძე** და **თათია დარჩიაშვილი,** რომლებმაც სამხატვრო აკადემია ერთად დაამთავრეს, საერთო ფიქრი, საერთო ოცნება გაუჩნდათ, ამ ცხოვრების ყოველდღიურობასაც ერთად შეეჭიდნენ და ასე მოდიან დღემდე... მანუჩარი და თათია უკვე რამდენიმე ჯგუფური გამოფენის მონაწილენი არიან, ერთად მუშაობდნენ მინანქარზე (სახვითი ხელოვნების ნიუანსებს ვინც იცნობს, დამეთანხმება თუ რა შრომატევადია ეს საქმე), ქებაც არ დაჰკლებიათ და აი, ახლა გადაწყვიტეს თავიანთი გრაფიკული ნამუშევრები წარედგინათ მხატვრობის მოყვარულთათვის. სულ ოცდაათამდე ნამუშევარია აქ – **„გალერეა-9“**-ში გამოფენილი, მაგრამ, ერთი განახათ, რა სიახლის გრძნობითა და შინაგანი ემოციითაა დამუხტული თითოეული ნახატი, როგორც გამოფენის დათვალიერებისას საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გია ჯანბერიძემ** მითხრა, სწორედ ეს არის 21-ე საუკუნის მხატვრობა, ანუ ტრადიციებს შერწყმული ნოვაცია... თათიას, ძირითადად, „ვეფხისტყაოსნის“ დასურათხატება გადაუწყვეტია, შესანიშნავადაა გენიალური პოემის სხვადასხვა ეპიზოდი ფანქრითა და ტუშით ამეტყველებული, მანუჩარი წმინდა გიორგის მოწამებრივი ცხოვრების თემას გაუტაცნია... და ასე – მეუღლენი – უდავოდ ნიჭიერი მხატვრები – თავიანთ ფიქრებს სისადავით გადმოგვცემენ და ამ ფიქრების თანაზიარს გვხდიან.





უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა გამოფენას, რაც, დარწმუნებული ვარ, ამ დღეებშიც არ მოაკლდება ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე მდებარე კოხტა საგამოფენო დარბაზს.

ვილენ მარდალეიშვილი

**სურათებზე: მხატვარი-მეუღლენი – მანუჩარ ოქროსცვარიძე და თათია დარჩიაშვილი; „ვეფხისტყაოსნის“ თათია დარჩიაშვილისეული ერთ-ერთი ილუსტრაცია.**

ეს საგულისყუროა

**თურმე, დიდი პოეტების, პოლიტიკოსებისა და სხვა გამოჩენილ ადამიანთა დაბადებული ციკლური ყოფილა. მეცნიერებმა, რომლებმაც გააკეთეს ევროპისა და ამერიკის 200-ზე მეტი წლის ბიოგრაფიული არქივების ანალიზი, გააკეთეს დასკვნა: ცნობილ ადამიანთა დაბადება დაკავშირებულია, თუ რომელ სეზონს ემთხვევა მათი საშვილოსნო განვითარება. თუ დედის ორსულობის 12-18 კვირა ნაყოფის ტვინის აქტიური განვითარების პერიოდი ემთხვეოდა გაზაფხულს ან შემოდგომას, იმის შანსი, რომ მომავალში ჩვილი სახელს გაუთქვამს თავის გვარს, იზრდებოდა.**

*** * ***

**მზის ლაქების მიხედვით მეცნიერებს შეუძლიათ „იწინასწარმეტყველონ“, როგორი იქნება ზამთარი, რაც მეტია ისინი, რაც უფრო აქტიურია მზე, მით უფრო სითბო იქნება დედამიწაზე. თუმცა, სწორედ ასეთ პერიოდებში უფრო ხშირად ხდება მიწისძვრები, ვულკანების ამოფრქვევები. დღეს ჩვენ მზის აქტიურობის პერიოდში ვცხოვრობთ. მაგრამ მომავალში, როდესაც ლაქები მნათობზე უფრო ნაკლები გახდება, ჩვენმა შთამომავლებმა შეიძლება განიცადონ ის, რაც განიცადეს ჩვენმა წინაპრებმა. პერიოდს 1640-დან 1700 წლამდე „მცირე გამყინვარების პერიოდს“ უწოდებდნენ – მაშინ „არ მუშაობდნენ“ ვულკანები, არ ყოფილა მიწისძვრები, სამაგიეროდ მთელი ევროპა ზამთრობით იყინებოდა, შავი ზღვის მცირეწყლიანი ნაწილი იფარებოდა ყინულით.**

პოეზია

# ნანა ღვინეფაძე



## სამაისო საგალოგელი

უკვე მიახლოვდები, –
გული სევდით აივსო!..
მაინც მოგეფერები, –
მოდი, მოდი, მაისო!..
რას მიქადის აისი, –
რას მიბარებს,
დაისი?!
– ხვალ მზე
დაგიბრუნდება,
ეს ღვთის ნება არისო...
.......................
დაბადების თარიღი
ზოგჯერ ბედისწერაა, –
ჩვენი გრძელი ცხოვრებაც
მაინც ბაბუწვერაა...
..........................
– ხვალ მზე ისევ ამოვა,
თავდები ვარ ამისო,
ქვეყნის დასაბამიდან
ეს ღვთის ნება არისო!..
გული არ გაიტეხო, –
მერამდენედ მაისობ? –
– მაგას ნუ გამახსენებ,
იმ დღეს მაინც ვხალისობ, –
მინდა ჩემი ფერიების
გალობით ვიმაისო!..
.............................
დარჩი ჩემთან მაისო!

2010 წ. აპრილი

## სანათა

წმინდა სიტყვაა
სამება!
როს ერთი იქცა
სამადა...
ღმერთი ფარვიდეს
ქვეყანას,
სადაც ქალს ჰქვია
სანათა!..
წმინდა სიტყვაა
სამება!
წმინდა სახელი –
სანათა!

2010 წ.

## აღმართი ძველ თბილისში

„განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე
სდგას ალვის ხის ნორჩი ახალი“...
ნიკოლოზ ბარათაშვილი

... განმარტოებულს ადგილზე
დგას, როგორც
მისი ჩინარი!...
მტკვარგაღმა შემაღლებულზე
თვალისთვის ამოდ
მჩინარი!
აქვეა ძველი ისანი
და მასაც ხვდება
ყველა ისარი,
რაც კი ქართლის ბედს
დამუქრებია, –
ფიქრთ გასართველად
მისულა მტკვართან,
სპეტაკი შუბლი
გამუქებია!...

.......................
ბორის ბატონო*,
თქვენი ქანდაკი
დგას ძველებურად
სულით ობოლი...
და ღამღამობით
ჩემი ბავშვობა
ეხმიანება, როგორც
ოლოლი!..
ძალზე შორსაა
ბავშვობა ჩემი,
ძალზე ახლოა ტატო-ჩინარი...

2010 წ. აპრილი

## არმაზ – მაშ მთვარე?!

მე მთვარე ხშირად
მზეს მირჩევნია,
მისი წილია
ლექსის ნაღები...
ხანდახან უნდა
ვიკაფიაოთ,
გავახმაუროთ
გულის ნადები...
არმაზ –
მაშ მთვარე?!
– ასე იტყოდნენ?
– ასე იტყოდნენ
თურმე ხეთები...
თუ ახსოვს
მთვარეს
ძველი ხეთური?!

* ბორის ციბაძე, მოქანდაკე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ავტორი.

ან კერპი ქართლში
მეფეთ-მეფური?..

2005 წლის ღვინობისთვის
12 დღისით – მზისით

## ჩამონგრეულა კლარჯეთში ოშკი!..

ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას

... ეს ლექსი დაწერილია 80-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში 600-ზე მეტი ხუროთმოძღვრული ნაგებობა იყო აღდგენილი, რაც გერმანიასთან ომიდან გმირის სახელით დაბრუნებული ირაკლი ციციშვილის თაოსნობით მოხდა – მიტაცებულ მიწებზე კი განუკითხავად ინგრეოდა ქართული ძეგლები!..
... ახლა კვლავ ინგრევა და კვნესის ტაოში ოშკი!..

2010 წ. მაისი

უკუღმართული სიზმარი
ვნახე,
რა მეწყინება, მზეო –
გულმნათო?!
თითქოსდა მთვარე
ჩამოვარდაო,
ჩამონგრეულხარ
ოშკის გუმბათო...
თითქოსდა მკერდი
შემომინგრიეს...
ვეღარ მოგწვდება
მარჯვენა ჩვენი;
ოღონდ ესაა, რომ
ჩვენს ფიქრებში
იმ ძველებური
მშვენებით რჩები...
მაგრამ ხვალ და ზეგ? –
მაგრამ ხვალ და ზეგ? –
როცა სულ წაგშლის
ვერაგი ჟამი?
... ქართველი კაცის
ცრემლად მიიღე
წვიმად მოსული
ციური ნამი...
გატაცებული ძესავით
გტირი,
დამუნჯებულო,
უმრევლ-უმნათო...
ქართულ გალობას
გადაჩვეულო,
ჩამონგრეულხარ,
ოშკის გუმბათო...
უკუღმართული სიზმარი
ვნახე,
თვალიც თამაშობს,
მზეო, გულმნათო...
თითქოსდა მთვარე
ჩამოვარდნილა,
ჩამოქცეულხარ,
ოშკის გუმბათო!...

ენა მდიდარი...

განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

## 5. დაპირება და... უემოციო?!

აჰა, მიიწურა ჟამი ერთურთის გაკილვა-გაქირდვისა და მსუყე სამომავლო დაპირებებისა. დრომდე დამუნჯდა ენა. ხვალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია. უნდა ავირჩიოთ დედაქალაქის მერი და საკრებულოს მომავალი მოღვაწენი. საარჩევნო პერიოდში პარტიული ბოსების ზეპირმეტყველება ერთობ ხმაურიანი იყო და უზომოდ ემოციური, რაც უმეტესად გამოიხატებოდა დამაყრუებლად ხმამაღალი სიტყვებით, სახიერი მიმიკითა და უხვი ჟესტებით... დადგა დრო წერითი მეტყველების გათავისებისა. უბნები, ქუჩები, შენობათა კედლები... აჭრელდა ფერად-ფერადი პლაკატებით. ისინი მოგვიწოდებენ, გვირჩევენ, გვთხოვენ, გვპირდებიან... რასაკვირველია, წერითი მეტყველება ზეპირზე ღარიბია გამოხატვის საშუალებით. იგი იყენებს მხოლოდ ბრძანებით წინადადებას, რომელსაც უთუოდ ამშვენებს ძახილის ნიშანი. თუ ეს პირობა არ შესრულდა, წინადადება კარგავს ემოციურ ელფერსა და სათანადო მნიშვნელობასაც.

ბარემ ისიც გავაცხადოთ, რომ ბრძანებითი წინადადება, ბრძანების გარდა, გამოხატავს მოწოდებას, რჩევა-დარიგებას, თხოვნას... და ემოციის გამოხატვის საშუალებად იყენებს ძახილის ნიშანს.

ვნახოთ, როგორ შეასრულეს ეს აუცილებელი მოთხოვნა პლაკატების დამკვეთებმა, ავტორებმა, მათმა ლიტერატორმა მრჩევლებმა და შემსრულებლებმა.

**რამდენიმე მაგალითი:**

თოფაძე-მრეწველები (№3) ლაკონიურად და პუნქტუაციის წესების დაცვით გამოხატავენ თავიანთ ემოციურ მოწოდებას – **მოვდივართ საქმით, გპირდებით საქმეს!**

ასევე სწორად იქცევიან ზოგიერთები, მაგრამ არა ყველანი, რაც დასანანია და უსულგულობის გამომხატველი.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის (№10) დევიზია **„დასაქმება და დაბალი ტარიფები!“** აქ ყველაფერი მოსაწონია, მაგრამ როცა წარმოგვიდგენენ თითქმის დაუჯერებელ დაპირებებს: **გაზი – 10 თეთრი, დენი – 5 თეთრი, წყალი – უფასოდო;** ეს ხომ სენსაციური დაპირებაა და თითოეული მოითხოვს ძახილის (გაკვირვების) ნიშანს: **გაზი – 10 თეთრი! დენი – 5 თეთრი! წყალი – უფასოდ!**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (№5) თითქოს სინანულით გვიმხელს, რომ **გასაკეთებელი კიდევ ბევრია,** თუმცა ამ სინანულის თუ მობოდიშების ბოლოს ძახილის ნიშანი უნდა დასვას მაინც, რათა დანანებით გამოხატოს – მეც მტკივა გული ამის გამოო. იქვე ვკითხულობთ: **ჩემი პრიორიტეტია დასაქმება.** აქაც საჭიროა ძახილის ნიშანი. თანაც რატომ უცხო სიტყვა **პრიორიტეტი.** განა მთავარი საზრუნავი, პირველ რიგში გასაკეთებელი არ არის უმჯობესი?

მოძრაობა „სამართლიანი საქართველო“ (№24) ორიგინალურად ცდილობს თავისი ნომრის გამოყენებას დაპირებაში: **საქართველოსთვის 24 საათი დღეში.** გარდა იმისა, რომ აქაც გამოტოვებულია ძახილის ნიშანი, პლაკატის ავტორს დავიწყნია – 24 საათი დღეში კი არ არის, დღე-ღამეშია.

ალიანსი საქართველოსთვის (№2) პლაკატი ყველასაგან განსხვავებულია. მისმა ავტორმა იცის, რომ ძახილის ნიშანი უნდა გამოიყენოს საკუთარი მიზანსწრაფვის გამოსახატავად, მაგრამ მეტისმეტი მოსვლია – ერთის ნაცვლად სამი ძახილის ნიშანი მიუწერია ორი სიტყვისათვის: **ჩვენ შევცვლით!!!** (იგულისხმება თბილისს, საქართველოს).

სახალხო დემოკრატები (№25) თავს გვაწონებენ – **თბილისი ჩვენი სახლიაო.** მერედა, თქვე დალოცვილებო, თუ ასეთი უზარმაზარი სიმდიდრის პატრონები ხართ, ერთი კინკილა ძახილის ნიშანი რატომ დაგენანათ მისთვის?

* * *

ცნობილი პროფესორი, საუკუნეს გადაცილებული სახელოვანი მეცნიერი ლეო კვაჭაძე გვმოძღვრავს: **„პუნქტუაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წერითი მეტყველების სრულყოფისათვის... პუნქტუაციის წესების ცოდნა და სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება ადამიანის წიგნიერების მაჩვენებელია“.**

წარმატება

## სოფო ნიჟარაძე დღეს ევროვიზიის ფინალში იმღერებს



ევროვიზიის კონკურსში საქართველო წლეულს მესამედ მონაწილეობს. საქართველოს სახელით ახალგაზრდა და ნიჭიერი მომღერალი სოფო ნიჟარაძე მღერის. საქართველო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში პირველად 2007 წელს მონაწილეობდა, როდესაც სოფო ხალვაშმა მე-11 ადგილი დაიკავა. 2008 წელს კი ქვეყანა ევროფესტივალზე დიანა ღურწკაიამ წარადგინა. როგორც ვიცით, შარშან საქართველოს შიდაშესარჩევი კონკურსის გამარჯვებული „სტეფანე და 3G“ გახდა. კონკურსზე სიმღერის ტექსტის ორაზროვანი ინტერპრეტაციის გამო, ევროვიზიის კომისიამ ქართველებს სიმღერის შეცვლა მოსთხოვა. მოგვიანებით კი, მათ საერთოდ უარი განაცხადეს მოსკოვში გამართულ კონკურსში მონაწილეობაზე.

საქართველოსთვის „ევროვიზია – 2010“ წარმატებულია, რადგან სოფო ნიჟარაძე უკვე ფინალშია. 39 მონაწილე ქვეყნიდან ნახევარფინალის გადალახვა მხოლოდ 25-მა შეძლო. აქედან ხუთი „დამფუძნებელი“ ქვეყანა ფინალში ავტომატურად მოხვდა, 20-მა კი შესარჩევი ტური გაიარა. ევროვიზიის მთავარი ფინალი დღეს, 29 მაისს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, „ტელენორ არენას“ დარბაზში გაიმართება.

ნახევარფინალის მეორე ტურში 17 კონკურსანტიდან ფინალში მხოლოდ 10 გავიდა, სასიხარულოა, რომ ამ ათი კონკურსანტიდან პირველ ნომრად საქართველოს წარმომადგენელი დასახელდა. სოფო ნიჟარაძემ სიმღერა „Shine“ შეასრულა, რომელიც სპეციალურად მისთვის ნორვეგიელმა კომპოზიტორმა დაწერა.

ფინალურ ტურს, რომელიც ოსლოში 29 მაისს გაიმართება, აზერბაიჯანელი კონკურსანტი გახსნის. ქართველი მონაწილე სოფო ნიჟარაძე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის შემდეგ იმღერებს. ტრადიციულად, ევროვიზიის გამარჯვებულს მაყურებელთა ხმების უმრავლესობა და ჟიური გამოავლენს. გამარჯვებულს მთავარ პრიზად ბროლის მიკროფონს გადასცემენ.

სოფო ნიჟარაძე: „საქართველო ელოდა სცენაზე ჩემს გამოსვლას, რადგანაც გასულ წელს ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია ამ უდიდეს ევროპულ შოუში. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ფინალში უკეთ წარმოვაჩინო ჩემი ქვეყანა, გადმოვცე ის ემოცია, რასაც შინაგანად ვგრძნობ და ამით ჩემი სათქმელი გამოვხატო“.

ხატია მუსერიძე

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს, მაგრამ კიდევ რამდენჯერ შეეძლება მას მისი აღნიშვნა?

**მტვრიანი გზის ბოლოს ჩრდილოეთით ქალაქ გორიდან, რომელშიც დაიბადა სტალინი, არის პატარა ქვიშიანი ტომრების გამაგრება და ქართული დროშა, რაც აღნიშნავს საზღვარს სამხრეთ ოსეთთან. ასი მეტრის იქით ღრუბლიანი ცის ფონზე ირხევა კიდევ ერთი დროშა – რუსეთისა. მაღალი, კამუფლაჟში გამოჭიმული მილიციონერის სიტყვებით, მხარეებს ერთმანეთთან ურთიერთობა არა აქვთ, მაგრამ უკვე წელიწადზე მეტია არავინ ისვრის**

მიუხედავად ამისა, მთებში, მის ზურგს უკან, განთავსებულია 4 000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი და 1000 მესაზღვრე ტანკებთან, ჯავშანტრანსპორტიორებთან და შვეულმფრენებთან ერთად. დასავლეთში, აფხაზეთში არის დაახლოებით ასეთივე ზომის კიდევ ერთი დაჯგუფება.

საქართველო აღნიშნავს დამოუკიდებლობის დღეს სრული რწმენით, რომ იგი ეწევა ბრძოლას არსებობისათვის დაუნდობელ და ვერაგ მტერთან. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით – ეს უკანასკნელი ქვეყანამ დაკარგა 2008 წლის აგვისტოში ხანმოკლე, მაგრამ კატასტროფული ომის შედეგად – საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი მას უკვე აღარ ეკუთვნის.

კრემლი ამ რეგიონებს „ავტონომიურ რესპუბლიკებს“ უწოდებს, ქართველი პოლიტიკოსები კი უპირატესობას ანიჭებენ გამონათქვამს „ოკუპირებული ტერიტორიები“.

„რახან ქართულ მიწაზე არიან უცხოელი ჯარისკაცები, როგორ შეიძლება მას უწოდო სხვაგვარად, თუ არა ოკუპაცია?“ – კითხულობს საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი.

ომების შემდეგ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოს მოუწია ეძებნა საცხოვრებელი 22 ათასი დევნილისთვის. ზოგიერთი იმათგანი ამჟამად ცხოვრობს ქოხმახებში, რომელთა გრძელი რიგი გადაჭიმულია გზის მახლობლად თბილისიდან გორისკენ. ეს, რასაკვირველია, უკეთესია, ვიდრე კარვები, მაგრამ მაინც რა შეედრება იმ სახლებს, საიდანაც ისინი გამოდევნეს.

„რუსეთისთვის საქართველო – დაუმთავრებელი საქმეა“, – განუცხადა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს დაზვერვის სამსახურის მაღალი თანამდებობის პირმა. გარდა სამხედროების ყოფნისა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მან გაიხსენა რუსეთის „უკიდურესად აქტიური დაზვერვითი საქმიანობა“, რაც აფრთხობს ინვესტორებს. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ხაკერებმა შეძლეს რამდენიმე დღით მოეხდინათ საქართველოს საბანკო სისტემის სრული პარალიზება.



მან აგრეთვე აღნიშნა, რომ კრემლმა შეიძლება მოახდინოს ეთნოსებს შორის დაპირისპირების პროვოცირება, შექმნას ახალი დაპირისპირების ობიექტები სამხრეთ ოსეთის ტიპის მსგავსად. საქართველოში ბევრი სომეხი და აზერბაიჯანელი ცხოვრობს. აქ არიან სხვა ეთნიკური ჯგუფებიც, მათ შორის რუსებიც. „ჩვენ ვიბრძვით გადარჩენისთვის“, – მიაჩნია მზვერავს.

სწორედ ამიტომ ისწრაფვის ასე საქართველო ნატოსკენ. მთავრობა ახდენს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას დასავლეთის დახმარებით და 900 ჯარისკაცს აგზავნის ავღანეთში ალიანსის ჯარების დასახმარებლად. თბილისში მთავრობის სახლს დემონსტრაციულად ამშვენებენ არა მხოლოდ ქართული დროშები, არამედ ევროკავშირის დროშებიც როგორც ქვეყნის დაუოკებელი სურვილი, შევიდეს კლუბში.

სხვათა შორის, საქართველომ უნდა მოითმინოს – მეტად საეჭვოა, რომ ნატოს ქვეყნები მოინდომებენ ჩაებნენ რუსეთთან კონფლიქტის რისკში ამ აფეთქებადსაშიშ რეგიონში. ბევრ პოლიტიკოსს ასევე მეტად აღელვებს ობამას ადმინისტრაციის მცდელობა, „განტვირთოს“ ურთიერთობანი მოსკოვთან. „ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების პოლიტიკას ახორციელებს, რის საწინააღმდეგოც ჩვენ არაფერი გვაქვს, მით უმეტეს, თუ ეს პოლიტიკა მიგვიყვანს დადებით ცვლილებებთან“, – ამტკიცებს ქალბატონი ეკა ტყეშელაშვილი.

მაგრამ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მიიყვანოს საქართველო ნატოში და დარწმუნებულია, რომ ქვეყანა გახდება ალიანსის წევრი, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად. „რუსეთი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს დღემდე „ახლო საზღვარგარეთს“ უწოდებს, რითაც გულისხმობს, რომ წარსულში ისინი მისი ნაწილი იყვნენ და მომავალშიც ასეთები გახდებიან, – ამბობს პარლამენტის სპიკერი დავით ბაქრაძე. – ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ თითქმის ნებისმიერ საკითხში, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი წითელი ზოლები: ჩვენ, და არა კრემლი ვწყვეტთ, თუ ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი. ჩვენ, და არა კრემლი, ვწყვეტთ, გვინდა თუ არა ნატოში შესვლა“.

ჯერჯერობით კი მთავრობა მიიჩნევს, რომ ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საუკეთესო საშუალება – ესაა დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარება. პოლიტიკოსები სიამაყით მიგვითითებენ წარმატებებზე ქვეყნის მოდერნიზაციის დარგში და კორუფციის აღმოფხვრაში, რაც მიღწეულია მას შემდეგ, რაც 2003 წელს მიხეილ სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლების სათავეში „ვარდების რევოლუციის“ წყალობით. უცხოელი ექსპერტები მას ეთანხმებიან. „ტრანსპერენს ინტერნეიშნელის“ ყოველწლიურ ინდექსში 179 ქვეყნიდან საქართველოს 67-ე პოზიცია უკავია, ამ დროს სულ რამდენიმე წლის წინათ იგი გაცილებით დაბლა იყო. ქვეყნისთვის კვლავინდებურად დიდი პრობლემაა უმუშევრობა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად იგი 15 პროცენტს შეადგენს, მაგრამ რეალური ციფრები, ალბათ, კიდევ უფრო მაღალია, უცხოური ინვესტიციების დონე კვლავინდებურად დაბალია.

რამდენიც უნდა აკრიტიკონ ბატონი სააკაშვილი ხელისუფლების სიყვარულისთვის, თავშეუკავებლობისთვის და ფავორიტიზმისთვის მეგობრებთან და მოკავშირეებთან დაკავშირებით, მის პოზიციას რუსეთთან დაკავშირებით არავინ აკრიტიკებს. „რუსეთს რაც უფრო მეტს უთმობ, მით მეტი უნდა მას, – განუცხადა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს ამ კვირაში. – მიჩვენეთ თუნდაც ერთი მაგალითი იმისა რომ რუსეთის მორჩილება ვინმეს რაიმეში გამოდგომოდეს“.

„თუ უარს ვიტყვით ტერიტორიული მთლიანობის იდეაზე, ჩვენ ბევრს დავკარგავთ როგორც სახელმწიფო, – ამბობს ბატონი ბაქრაძე. – ჩვენ აღვადგინეთ ავიამიმოსვლა (ამ კვირაში), ჩვენს შორის შეიძლება არსებობდეს დიპლომატიური ურთიერთობანი, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში არაფერი შეიცვლება, სანამ რუსეთი არ დაიწყებს საქართველოს, როგორც ნორმალური მეზობლის, აღქმას.

THE TIMES

## დედამიწის ზურგზე



**თანამედროვე ადამიანის უძველესი წინაპრები აღმოჩნდნენ ჯუჯა-კანიბალები**

ავსტრალიელმა მეცნიერებმა აფრიკაში აღმოაჩინეს თანამედროვე ადამიანის იმ უძველესი წინაპრის ნაშთები, რომლებიც ცხოვრობდნენ 2 მილიონი წლის წინათ. როდესაც აღმოჩენილი სახეობის ჭრილობის რეკონსტრუირებას ახდენდნენ, მეცნიერებმა გააკეთეს დასკვნა, რომ თანამოძმეებმა იგი შეჭამეს ან მსხვერპლად შესწირეს.

* * *



**გაერომ გამოააშკარავა ჩრდილოეთი კორეა ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტში ყალბი ფირმებისა და კრიმინალური ქსელის მეშვეობით**

კერძოდ, აკრძალული ტექნოლოგიები მიყიდეს ირანს, სირიასა და მიანმეს. გაეროს მეთვალყურეების მიერ მომზადებულ მოხსენებაში დეტალურად არის წარმოდგენილი სქემები, რასაც ფხენიანი იყენებს საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლით.

* * *

**აშშ-ის ეროვნული უშიშროების ახალი სტრატეგია: ამერიკა აღარ არის ერთადერთი სუპერ სახელმწიფო.**

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს გადასცა უშიშროების ეროვნული სტრატეგია. მთავარი პარტნიორები აღმოჩნდნენ რუსეთი და ჩინეთი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგრეთვე საშინაო უშიშროებას და ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას.



* * *

**აშშ-მ მიაღწია იაპონიისგან, რომ ამერიკის ფლოტის ბაზა დარჩეს კუნძულ ოკინავაზე**

წინასაარჩევნო დაპირებებში დემოკრატიული პარტია, რომელმაც ჩამოაყალიბა მთავრობა სექტემბერში, იძლეოდა დაპირებას – „გადაეტანა ბაზები ქვეყნის ფარგლებს გარეთ ანდა, როგორც მინიმუმი, ოკინავას პრეფექტურის ფარგლებს გარეთ“. ოპოზიცია საყვედურობს პრემიერს წინასაარჩევნო დაპირებების შეუსრულებლობის, გამო და არ გამორიცხავს შესაძლებლობას დასვას საკითხი მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ.

* * *

**რუსები პარიზში აგებენ საჯაშუშო ცენტრს, რომელიც ტაძრად არის შენიღბული, დარწმუნებული არიან ფრანგები**

დოკუმენტებს რუსეთის მიერ ტაძრის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის შესყიდვის შესახებ ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა მმართველმა ვლადიმირ კოჟინმა. საფრანგეთის დაზვერვის მონაცემებით, კოჟინი ყოფილი „კაგებეს“ აგენტია. თავად საქმეთა მმართველი ამ ინფორმაციას უარყოფს. თუმცა აღნიშნავს, რომ არ იქნებოდა წინააღმდეგი, ემუშავა „კაგებეში“.

# ფრთხილად, ცენზურაა!

## ქართველი ჟურნალისტები ბრიუსელში პროტესტს აცხადებენ

**ბელგიის დედაქალაქში ჩავიდნენ დამოუკიდებელი ქართველი ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებებისათვის ყოფილი პოლიტპატიმრების“ და ჟურნალისტური ასოციაცია „ობიექტივის“ წარმომადგენლები**

ჩასვლის მიზანია – აჩვენონ ბრიუსელში დოკუმენტური ფილმების სერიები, როგორც ისინი აცხადებენ, „სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულობათა შესახებ“. ეს საქართველოდან ჟურნალისტების პირველი მცდელობაა, აჩვენონ თავიანთ კოლეგებს მსოფლიოში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროპული სტრუქტურების წარმომადგენლებს ის დოკუმენტური სურათები, რომელთა ჩვენებაც აკრძალეს ქართულ ეროვნულ ტელეარხებზე.

ჟურნალისტებმა ჩამოიტანეს რამდენიმე დოკუმენტური სურათი: „ჩიხი“, „დემოკრატიის გისოსები“, „ქვეყანა, რომელსაც საქართველო ეწოდება“, „ფრთხილად, ქალაქში მკვლელია“.

სურათი „ჩიხი“ გვიამბობს 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ; „დემოკრატიის გისოსები“ და „ქვეყანა, რომელსაც საქართველო ეწოდება“ – ესაა ფილმები რეპრესიების შესახებ, რომლებიც მოაწყვეს შინაგან საქმეთა ორგანოებმა საქართველოს ოპოზიციურ მოღვაწეთა წინააღმდეგ. აი ფილმის შესახებ კი „ფრთხილად, ქალაქში მკვლელია“ მისი ავტორი ირაკლი კორძაია გვიამბობს:

„სურათი შეეხება იმ მკვლელობებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საქართველოში უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში. პოლიციელები ძირითადად ახალგაზრდებს ხოცავდნენ. ფილმი ექვსი ეპიზოდისგან შედგება. ესაა – ყველაზე რეზონანსული საქმეები. ჩვენ გვინდა, რომ ამ ფილმის წყალობით ცნობილი გახდეს ამ წლებში დაახლოებით 140 კაცის მკვლელობის ამბავი“.

„ ჩვენი მიზანია ევროპასა და ევროპულ სტრუქტურებში იყოს საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში სიტყვა „დემოკრატიის“ საფარქვეშ“, – განაცხადა, თავის მხრივ, ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ სიტუაცია საქართველოში აუცილებლად შეიცვლება უკეთესობისკენ:

„იმედი გვაქვს, რომ რაიმე შეიცვლება უკეთესობისკენ. ეტყობა, ეს არ მოხდება დღეს ან ხვალ, მაგრამ...“

მრგვალ მაგიდაში ქართველი ჟურნალისტების გარდა მონაწილეობა მიიღეს ბრიუსელში აკრედიტებული მსოფლიოს წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებმა, სამართალდაცვის ორგანიზაციებმა და ევროპულმა ინსტიტუტებმა.

Radio France Internationale

დედაქალაქი

# რა ხეირი აქვს „წყლის მოტანილ“ მრიცხველებს?

***რამდენიმე წლის წინათ სახელისუფლებო დონეზე, საზოგადოებაში, მასმედიაში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა საზღვარგარეთ ისეთი უნიკალური ბუნებრივი რესურსის გაყიდვის საკითხი, როგორიც ჩვეულებრივი სასმელი წყალია. თუმცა თქმაში — ჩვეულებრივი სასმელი წყალი — სიტყვა „ჩვეულებრივი“ ერთგვარად აკნინებს თავად „სასმელი წყლის“ სტატუსს თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ უკვე სადღეისოდ დედამიწაზე უწყლობით სულ მცირე 20 მილიონი კაცი იღუპება, სასმელი წყლის მუდმივ ნაკლებობას განიცდის დაახლოებით მილიარდი ადამიანი (!), ხოლო თითოეულ ჩვენგანს (მით უმეტეს ე.წ. „საძინებელი“ რაიონების მრავალსართულიანი კორპუსების მაცხოვრებლებს), დარწმუნებული ვარ, დღეების განმავლობაში უშუქობაც განუცდია, უწყლობაც, და უწყლობას უშუქობა რომ სჯობია, ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება.***

ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ საქართველოში, რომელსაც ამ მართლაც ფასდაუდებელი და ჩვენში, სამწუხაროდ, დაუფასებელი განახლებადი ბუნებრივი რესურსის მიმართ ამ დრომდე დამოკიდებულება ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ერთ ციდა ქვეყანაში, სადაც უამრავი მდინარეა, რომელთა უმრავლესობის წყალი სასმელად გამოდგება (ცხადია, სათანადო ფილტრაციის შემდეგძ, არის უამრავი მინერალური თუ მტკნარი წყარო, მტკნარი წყლის შემცველი უზარმაზარი ბუნებრივი რეზერვუარი (მაგალითად, კახეთშიძ, ჭეშმარიტად დანაშაულია, რომ არაერთი მსხვილი ქალაქის თუ უამრავი სოფლის მცხოვრები წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიდეს. ამასთან, ისინი, ვისაც მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება და ამ პროცესის მარკეტინგი ევალება, აცხადებენ, რომ თუმცა საქართველოში სასმელი წყლის დიდი ბუნებრივი მარაგია, ქალაქებსა და სოფლებში მომხმარებლისთვის მისი მიწოდების უზრუნველყოფას მეტად მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები სჭირდება. იქ, სადაც არის იმის შესაძლებლობა, რომ წყალი მომხმარებლამდე თვითდინებით მივიდეს, ამას იყენებენ კიდეც, მაგრამ სადაც ამ პროცესში მისი ქაჩვა, ანუ ელექტროენერგიის ხარჯვაა საჭირო, ეს, ცხადია, ტარიფზე აისახება.

წელან აღვნიშნეთ, რომ სასმელი წყლის უკმარისობას საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონი და მსხვილი ქალაქი განიცდის. ამ მხრივ არც დედაქალაქია გამონაკლისი.

დაახლოებით 400 ათას აბონენტს, რომელთაგან 20 ათასი საბიუჯეტო ორგანიზაციაა, 15 ათასი — კომერციული ობიექტი, დანარჩენი კი მოსახლეობა, სასმელ წყალს თბილისში „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაურსი“ აწვდის.

ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი ერთ სულ მოსახლეზე 2,4 ლარია, რომელსაც გაუმრიცხველიანებული მოსახლეობა იხდის — მათ შორის ისიც, ვისაც წყალი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მოეწოდება და ისიც, ვის ონკანშიც წყალი გრაფიკით მოდის. მათთვის კი, ვისაც წყლის მრიცხველები უკვე დაუყენეს, ერთი კუბური მეტრი სასმელი წყლით წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მომსახურების ფასი ათი თეთრია.

ალნიშნული განკარგულების თანახმად, თბილისის „ძველი ქალაქის“ რაიონის საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობა სასმელი წყლით უწყვეტად 2011 წლამდე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ხოლო მთლიანად ქალაქი — 2013-15 წლებში. თუმცა მთავრობასა და „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაურს“ შორის დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანეს, რომელთა შესაბამისად დედაქალაქის მთელი მოსახლეობის სასმელი წყლით უწყვეტი წყალმომარაგების ვადამ 2013 წლამდე გადაიწია.

ორი წელი, რომლის განმავლობაში თბილისელთა დიდი ნაწილი კვლავაც უწყლოდ იქნება, თვალის ერთი გადავლებით, თითქოს არაფერია, მაგრამ საკითხავია: როცა „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერსი“ დედაქალაქის წყალმომარაგებელი კომპანია „თბილისის წყალს“ ეპატრონებოდა, განა წყალმომარაგების მთელი ინფრასტრუქტურა, ქალაქის რელიეფი, ქსელების მდგომარეობა და ა.შ. შესწავლილი და, შესაბამისად, ყველაფრის სათანადო წესრიგში მოსაყვანად ვადები და საამისოდ საჭირო თანხების ოდენობა გამოთვლილი არ ჰქონდა? სიმართლე გითხრათ, ძნელი დასაჯერებელია.

რაც შეეხება დედაქალაქის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფის ტექნიკურ მხარეს, კომპანიაში აცხადებენ, რომ საამისოდ მთელი რიგი სამუშაო უნდა ჩატარდეს. კერძოდ, უნდა აშენდეს მარეგულირებელი სატუმბი სადგურები, წყალშემკრები რეზერვუარები, მოხდეს ამორტიზებული ქსელების რეაბილიტაცია და სხვ. ამდენად, მთლიანი სამუშაოების მოცულობის გათვალისწინებით, როგორც აღვნიშნეთ, დედაქალაქის უწყვეტი წყალმომარაგების საკითხს საბოლოოდ გაწყვეტის ვადამ ორი წლით გადაიწია.

უნდა ითქვას, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები უკვე ჩატარდა, რის შედეგად წყალმომარაგების შეზღუდვები თბილისში ათი პროცენტით შემცირდა. ეს ეხება, კერძოდ, ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევისა და ვაკე-საბურთალოს რაიონების ზოგიერთ უბანსა და ქუჩას, ზოგიერთ უბანში კი გრაფიკით წყალმომარაგების დრო გაიზარდა. კომპანიაში ანგარიშობენ, თბილისში ერთ სულ მოსახლეზე დღე-ღამის განმავლობაში 800 ლიტრი სასმელი წყლის ხარჯია. თან აღნიშნავენ, რომ ეს წარმოუდგენლად მაღალი მაჩვენებელია. სიტყვას მოყვა და აღვნიშნავთ, რომ ისეთ მეგაპოლისებში, როგორებიცაა პარიზი, ლონდონი, ბერლინი და ა.შ. ეს მაჩვენებელი სულ მცირე 2-2,5-ჯერ მაღალია, მაგრამ იქ პრობლემას წარმატებით წყვეტენ. ხოლო იმის თქმა, რომ ევროპაში ერთ კაცზე გადაანგარიშებით დღე-ღამეში 150-200 ლიტრი სასმელი წყალი იხარჯება, რბილად რომ ვთქვათ, მთლად სიმართლე არ არის. ის 800 ლიტრი კი, რომლის თაობაზე დედაქალაქის მოსახლეობას ერთიანად საყვედურობენ, მათ შორის მათაც, ვისაც წყალი დღე-ღამეში ოთხი საათით მიეწოდება, მომხმარებლებთან კი არ იხარჯება, არამედ გაუმართავ, ამორტიზებულ ქსელებში იკარგება, რის თაობაზე წყალმომარაგების სისტემის მუშაკებმა მშვენივრად იციან.

ასევე აცხადებენ, რომ მოსახლეობის ის მცირე ნაწილი, ვინც წყლის ინდივიდუალური მრიცხველი დაიყენა და ახლა მომარაგების გადასახადს არა სულადობით, არამედ კონკრეტული მონაცემის შესაბამისად იხდის, სასმელი წყლის გადასახდელი ოთხჯერ შეამცირა. არ გვინდა ყველაფერს ურწმუნო თვალით შევხედოთ, მაგრამ გადასახადის ეს გაპიარებული ოთხჯერადი შემცირება გარკვეულ ეჭვს ბადებს იმ მარტივი მიზეზით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასმელ წყალზე ნებაყოფლობით გამრიცხველიანებული მოსახლეობა ერთ კუბურ მეტრში 10 თეთრს იხდის, ხოლო გაუმრიცხველიანებელი, რომელშიც მრიცხველების ნებაყოფლობით დაყენების „კეთილი ნების“ არარსებობაზე კომპანიაში სრულიად გაურკვეველი (ან, პირიქით, სავსებით გარკვეულიძ მიზეზით წუხან, ერთ სულზე 2,40 ლარს. თუკი გამრიცხველიანებულებში წყლის გადასახადის ორხჯერადი შემცირების ამბავს ვირწმუნებთ, გამოდის, რომ ამჟამად ერთი კაცი, საშუალოდ, თვეში მხოლოდ 30 თეთრს იხდის, ხუთკაციან ოჯახს კი თვეში წყალმომარაგების ხარჯი სულ 1,50 ლარია, რაც, დაგვეთანხმებით, ცოტა „მომიუნჯაუზენო“ მაჩვენებელია.

აცხადებენ იმასაც, რომ დედაქალაქის მოსახლეობის სასმელი წყლის მრიცხველებით მთლიანად აღჭურვის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია, ამდენად საჭიროა შესაბამის კანონში გარკვეული ცვლილებების შეტანა. თუ რატომ უნდა ასე მწარედ კომპანიას საკუთარი მოგების შემცირება, გაურკვეველია ისევე, როგორც ის, თუ რას უპირებს თბილისის მერად არჩევის შემთხვევაში გია ჭანტურია დედაქალაქის ახლადაგებულ აუარება შადრევანს, რომლის წყლის ხარჯის საფასური, პატივცემულო მკითხველო, ჩვენივე ჯიბიდან გადის და „იმ“ 800 ლიტრის ანგარიშშიც აისახება.

თემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სხვა დიდი ქალაქების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროგრამის დაფინანსება, რომლის შესახებ ლაპარაკი შემდეგ წერილში გვექნება.

**ოთარ ტურაბელიძე**



ინფორმაცია თემაში

***იმის** გამო, რომ თბილისის ზოგიერთ რაიონს სასმელი წყალი საკმარისი რაოდენობით არ მიეწოდება, რესურსის თანაბრად გადასანაწილებლად გარკვეულ უბნებში რვა, ექვს და ოთხსაათიანი გრაფიკებია დაწესებული. ამ უბნებში წყლის მიწოდების ხანგრძლივობა მის ადგილმდებარეობასა და იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენხანს ყოფნის ქსელს კონკრეტულ სამარაგო რეზერვუარში დაგროვილი წყლის ოდენობა. გარდა ამისა, დედაქალაქის წყალსადენის ქსელის ცალკეული უბნის დატვირთვა დამოკიდებულია ასევე მის რელიეფზე, განაშენიანებისა და, შესაბამისად, მომხმარებელთა რიცხოვნობასა და წყალმომარაგების წყაროების ადგილმდებარეობაზე.*

ინფორმაცია თემაში

***მომავალი** წლიდან „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერსს“ მოსახლეობის ფიქსირებული 2,4-ლარიანი ტარიფის 2,95 ლარამდე გაზრდის უფლება აქვს და თუ ეს ასე მოხდება, კომპანია ვალდებულია ეს მაჩვენებელი 2014 წლამდე შეინარჩუნოს.*

*საქართველოს პრეზიდენტის № 702 განკარგულების შესაბამისად გაუმრიცხველიანებული მოსახლეობისთვის ერთ სულზე სასმელი წყლით მომარაგების ტარიფი 2018 წლამდე პერიოდისთვის უკვე განსაზღვრულია: 2010-2013 წ.— 2,95 ლარი; 2014 წ. — 3,3 ლარი; 2015 — 3,5 ლარი; 2016 წ. — 3,7 ლარი; 2017 წ — 3,9 ლარი; 2018 წ. — 4,1 ლარი. რაც შეეხება ორგანიზაციებს, ამჟამად მოქმედი ტარიფი 2018 წლამდე უცვლელი იქნება. განკარგულებაში ასევე აღნიშნულია, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფის ცვლილების შემთხვევაში ასევე შეიცვლება მოსახლეობისთვის დაწესებული სასმელი წყლის ტარიფიც.*

წარდგენა

# „ქუჩის ბიჭების“ რეპორტაჟი ნაძალადევიდან

**როგორი იყო ნაძალადევი გასული საუკუნის სამოციან წლებში? რით სუნთქავდა ეს ამაყი, გულიანი, გულჩვილი, ნიჭიერი და ზრდილი ხალხით განთქმული უბანი? ვინღა შემორჩა იმ დროიდან ნაძალადევს? ყველაფერი ეს ერთ ლამაზ, სევდანარევ მოგონებად რამდენიმე ნოველაში გააერთიანა ცნობილმა ჟურნალისტმა და მწერალმა თამაზ ჭეიშვილმა. მცირე ზომის წიგნს „ქუჩის ბიჭები“ ჰქვია და ჯერ კიდევ 1983 წელს გამოიცა. მაშინ ცენზურამ მწერალს რამდენიმე მოთხრობა ამოუგდო კრებულიდან, მეორე გამოცემა კი შევსებული „ნაცენზურალი ნოველებით“ მკითხველთა წინაშე ხუთშაბათს წარსდგა.**



ნაძალადევის ბაღში, ე. წ. „პლეხანოვის კლუბის“ ეზოში შეიკრიბნენ ყოფილი ნაძალადეველები და ძირძველი უბნელები. თავიანთ ბავშვობის წლებს, აქ გატარებულ დღეებს იხსენებდნენ მანუჩარ მაჩაიძე და საშა ჩივაძე, მერაბ სეფაშვილი და ჯემალ ღაღანიძე, ვაჟა ოთარაშვილი და ჰამლეტ გეგია, ისტორიკოსი დურმიშხან ცინცაძე და ნემო ბურჭულაძე... მოსაგონარი კი ძალზე ბევრი ჰქონდათ. იყო ცრემლი, სიხარული, მომავლის იმედი, გარდასულ დღეთა მონატრება.

წიგნის წარდგენამ გვიანობამდე გასტანა ღია ცის ქვეშ. ეს კი თამაზ ჭეიშვილის კიდევ ერთი გამარჯვება იყო.

**მამუკა ვაშაკიძე**



ნარდი

# საუკეთესოებს – „ოქროს კამათლები“

## საქართველოს დამოუკიდებლობას მიეძღვნა



**საქართველოს ნარდის ასოციაცია (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძე) წლების განმავლობაში მრავალ საინტერესო ღონისძიებას მართავს, მათ შორის მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებს, რომლებშიც უამრავი ქალვაჟი მონაწილეობს. ამჯერადაც 80-მდე მონარდემ მოიყარა თავი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საქართველოს ღია ჩემპიონატში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ და ნარდის ასოციაცია.**

შეჯიბრებაზე განსაკუთრებით გამოირჩინა თავი ნარდში საერთაშორისო წესებით ცნობილმა ბიზნესმენმა და ექიმმა კახა ფანქველაშვილმა. იგი წლების განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობდა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პირველად იასპარეზა ქვეყნის ჩემპიონატში. ნახევარფინალში მან კარენ სარქისიანს აჯობა, ფინალში კი ქვეყნის მონარდეთა ნაკრების კაპიტანს, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებულსა და პრიზიორს, ეროვნული ჩემპიონატების სამგზის ფინალისტ კახა ნაჭყებიას სძლია დაძაბულ ბრძოლაში 15:13 და ოქროს მედალთან ერთად „ოქროს კამათლებიც“ დაიმსახურა. მანვე ქართულ მოკლე ნარდში ტარიელ ნებულიშვილთან ერთად მესამე ადგილი დაიკავა. ნახევარფინალური შეხვედრა ოსტატებში მსოფლიოს ჩემპიონ ვალერიან თორელთან დათმო. სამაგიეროდ, გადამწყვეტ პაექრობაში თორელი ვაჟებში მოასპარეზე ერთადერთმა მანდილოსანმა ლალი ქაჯაიამ დაამარცხა. ქალთა შორის მოკლე ნარდში ჩემპიონია თამილა სიხარულიძე. ფინალში მან ნაირა მუშკუდიანს 7:6 სძლია. მესამე ადგილები ეკა ზალიკიანსა და ლამზირა კობერიძეს ხვდათ.

გრძელ ნარდში პირველ ადგილთან ერთად „ოქროს კამათლები“ დაისაკუთრა ყოფილმა მოჭიდავემ და მორაგბემ გია კარგაძემ. იგი სამი წელიწადია, ნარდის სამყაროს გაუშინაურდა და საქართველოს ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ შესაბამისად, კიმი თაბუკაშვილმა, კახა ნაჭყებიამ და რაუფ სუზედანოვმა გაინაწილეს. კონსულტაციებით წყვილთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თამაზ გიორგობიანი, ზაზა კაპანაძე, 2. თემურ ქურციკიძე, ვახტანგ ცხადაძე.

**გიორგი გაგუა**



**სურათებზე: ზემოთ კახა ნაჭყებიასა (მარცხნივ) და კახა ფანქველაშვილის შეხვედრის მომენტი; ბეჟან ხურციძე აჯილდოებს გია კარგაძეს.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ობამამ ნაკრები აფრიკაში გააცილა



**გუშინწინ ფეხბურთში აშშ ნაკრები სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების წინ იყო თეთრ სახლში პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან. ფეხბურთელების მუნდიალზე გაცილებას ესწრებოდა აგრეთვე ყოფილი პრეზიდენტი, დემოკრატი ბილ კლინტონიც, პოლიტიკოსებმა ნაკრებსა და მის მწვრთნელს ბობი ბრედლის წარმატებები უსურვეს ჩემპიონატზე.**

ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ თუმცა თანამედროვე ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში არც თუ დიდ პატივშია, მაგრამ, გავრცელებული ცნობით, სწორედ ამერიკელმა გულშემატკივრებმა შეიძინეს ჩემპიონატის მატჩების ყველაზე მეტი ბილეთი – 120 ათასი! მეორე ადგილზე კი ინგლისელები არიან – 68 ათასი ბილეთი.

**სურათზე: აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა ნაკრების ფეხბურთელების გაცილებისას.**

## მოსალოდნელია რეორგანიზაცია




**ასე განაცხადა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა, ამ ქვეყნის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრე ჟუკოვმა. მან ჟურნალისტებს უამბო რუსეთში სპორტის განვითარების გეგმებზე: „შევცვლით ოლიმპიური კომიტეტის სტრუქტურას. ჩვენ ახლა ასეთ წინადადებებს ვამზადებთ. განვმტკიცდებით კადრების მიმართულებითაც, მასში ჩავაბამთ საუკეთესო სპორტულ სპეციალისტებს.**

მან აღნიშნა, რომ ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას აქვს ძალზე რთული ამოცანები – არამხოლოდ უზრუნველყოს სოჭში ოლიმპიადის ჩატარება, ააგოს შესანიშნავი სპორტული ობიექტები, ინფრასტრუქტურა, არამედ, რასაკვირველია, ღირსეულად გამოვიდნენ ამ ოლიმპიადაზე.

## ბოლტი რეკორდს ვერ მისწვდა

**იამაიკელმა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონმა უსეინ ბოლტმა, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენია 100 და 200 მეტრზე სირბილში, ვერ მოახერხა რეკორდის დამყარება 300 მეტრზე სირბილში ჩეხეთის ოსტრავაში გამართულ შეჯიბრებაზე. თუმცა მან მაინც პირველი ადგილი დაიკავა – 30,97, მაგრამ ვერ დაამხო ამერიკელი მაიკლ ჯონსონის 2000 წლის რეკორდი – 30,85.**




ამავე დღეს ბოლტის თანამემამულემ ასაფა პაუელმა 100 მეტრზე აჩვენა ბრწყინვალე შედეგი – 9,83, რითაც მხოლოდ ბოლტის მიერ ამ დისტანციაზე სამხრეთ კორეაში ნაჩვენები ამასწინანდელი შედეგი „დაამხო“ – 9,86.

აქვე მრავალი სხვა საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

## ვინუსი შოკში აგდებს „როლან გაროსს“

**ფრანგი გულშემატკივრების დიდი ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე – როლან გაროსზე – ამერიკელმა ჩოგბურთელმა ვინუს უილიამსმა – დიდებული თამაშით კი არა, თავისი ჩაცმულობით, რომელიც მან ტურნირის მეორე ტურში აჩვენა. პირველ ტურში თუ მაყურებლები აღაფრთოვანა მისმა ზუსტმა დარტყმებმა შვეიცარიელ პიტი შნიდერთან შეხვედრაში, მეორეში – უკვე შავ-წითელი ფერის მაქმანებიანი კორსეტით.**



თუმცა არავითარი პიკანტური ან კრიმინალური ასეთ ჩაცმულობაში არაა, თუ სხვა ჩოგბურთელ ლამაზმანებსაც დავაკვირდებით, მაგრამ კორტზე მოძრაობისას ვინუსის კაბა ისე მიიწევდა მაღლა, რომ ძალაუნებურად თვალს ვერ მოწყვეტდით ამით გამოჩენილ რაღაცრაღაცეებს.

მწარე გაკვეთილი



# გვახსოვდეს „ეიზელი“!

**1985 წლის 29 მაისის თბილ საღამოს 20-ლიტრიანებით შეიარაღებული ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია პანტიანისკენ დაიძრა, სადაც, იმდროინდელი ტრადიციისამებრ, დაუვიწყარი სანახაობით უნდა დამტკბარიყო, თურქეთის ერთ-ერთი ტელეარხით „პირატულად“ რომ ვიჭერდით. სხვაგვარად ძნელია მოინათლოს ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი „იუვენტუსისა“ და „ლივერპულის“ მონაწილეობით, რომელსაც ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის „ეიზელის“ 60-ათასიანი სტადიონი მასპინძლობდა. მაშინ მართლაც ისტორიული მოვლენები განვითარდა, მაგრამ მას, სამწუხაროდ, სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობასთან საერთო არაფერი ჰქონდა – შუაგულ ევროპაში სისხლი დაიღვარა!**



მოგეხსენებათ, როცა ასეთი მაღალი რანგის ტურნირის გადამწყვეტი რაუნდისთვის სარბიელს ირჩევენ, უმთავრეს კრიტერიუმს უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა წარმოადგენს. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი სახელმწიფოსა და უეფას მესვეურებს მხედველობიდან გამორჩათ ისეთი „წვრილმანები“, როგორიცაა ხის ტრიბუნები და მეტოქეთა, განსაკუთრებით ლუდით გაჟღენთილი ინგლისელი ფანატიკოსი ქომაგები, ამან კი ხელი შეუწყო ცეცხლის გაღვივებას როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. დანების, ბოთლებისა და სხვა ნივთების გამოყენებით გაჩაღებული ხელჩართული შეტაკებების შედეგი მართლაც სავალალო აღმოჩნდა – ორმოცამდე დაღუპული (უმეტესობა – იტალიელი) და ასეულობით დაჭრილ-დასახიჩრებული. ტრაგედიის მიუხედავად, ორგანიზატორებმა შვეიცარიელ მსაჯს ალბერტო დაინას სატიტულო შეხვედრის გაძღოლის ნებართვა მაინც მისცეს. ასე რომ, როცა აღარავის ეფეხბურთებოდა, ნაფრონტალ „ეიზელზე“ ფეხბურთის იმიტაცია მაინც მოეწყო.

**„იუვენტუსი“ – „ლივერპული“ 1:0**

**„იუვენტუსი“:** ტაკონი, ფავერო, კაბრინი, ბონინი, ბრიო, შირეა, ბრიაში (პრანდელიძ, ტარდელი, როსი (ვინიოლაძ, პლატინი, ბონეკი.

**მწვრთნელი:** ჯოვანი ტრაპატონი.

**„ლივერპული“:** გრობელაარი, ნილი, ბეგლინი, ლოურენსონი (გილესპიძ, ნიკოლი, ჰანსენი, დალგლიში, უილანი, რაში, უოლში (ჯონსტონიძ, უარკი.

**მწვრთნელი:** ჯოზეფ ფეგანი.

**გოლი:** პლატინი (57-ე წთ, პენალტითძ.

სხვათა შორის, დღემდე ვერ მოხერხდა იმაზე შეთანხმება, რამდენად სამართლიანად დაინიშნა მერსისაიდელთათვის საბედისწერო თერთმეტმეტრიანი დარტყმა გრობელაარის კარში. კერძოდ, ბევრი მიიჩნევს, რომ გენიალური პლატინის საფირმო გადაცემის შემდეგ რეაქტიული ბონეკის წინააღმდეგ თამაშის წესი გილესპიმ საჯარიმოს გარეთ დაარღვია. ამჟამად ამას უკვე აღარ აქვს არსებითი მნიშვნელობა – ეტყობა, დაძაბულობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად მსაჯმა შესაბამისი მომენტი შეარჩია და... 1:0 „ბებერი ქალბატონის“ სასარგებლოდ.

**დავსძენთ, რომ მაშინდელი ტურნირის 61 მატჩში 184 გოლი გავიდა, ხოლო ბომბარდირები გახდნენ უარკი – 8 გოლი, პლატინი, ნილსონი („გეტებორგი“ძ – 7-7 გოლი და როსი – 5 გოლი.**

**მას შემდეგ 25 წელი გავიდა.**

კალათბურთი

## კობის ფაქტორი



**30 ქულა, 11 შედეგიანი გადაცემა და 9 მოხსნა – ასეთია „ლოს-ანჟელეს ლეიკერზის“ ლიდერის კობი ბრაიანტის პირადი მონაგარი, რამაც განაპირობა კიდეც მისი გუნდის გამარჯვება კალათბურთის ეროვნული ასოციაციის (ნბაძ მეხუთე ნახევარფინალურ შეხვედრაში „ფინიქს სანზთან“ – 103:101.**

აღსანიშნავია, რომ კალიფორნიელთა მეგავარსკვლავმა უკანასკნელ წამზე შესრულებული გადამწყვეტი ტყორცნა გააცუდა, თუმცა ბურთს ფიშერი დაეუფლა და საფინალო სირენასთან ერთად სტუმართა კალათში ჩატენა.

ასე რომ, სერიაში, რომელიც ოთხ მოგებამდე გაგრძელდება, „ლეიკერზი“ დაწინაურდა – 3:2. მეექვსე დუელს ხვალ ფინიქსი უმასპინძლებს.

## ა უ ქ ც ი ო ნ ი

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე IX ლოტად

**I ლოტი:** აუქციონზე მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 528.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.785);

**II ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 582.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.783);

**III ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 329.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.788);

**IV ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 1000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.786);

**V ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 1000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.773);

**VI ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 1000.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.774);

**VII ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 456.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.784);

**VIII ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 400.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.775);

**IX ლოტი:** მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. მცხეთაში, მდებარე 600.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.776);

საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ 30 (ოცდაათი) ლარი.

აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

**„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი 220101415**

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73. ტელ: 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე I ლოტად

**I ლოტი:** ქ. მცხეთაში მდებარე 85.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.06.321).

საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ 30 (ოცდაათი) ლარი.

აუქციონის „ბე" შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 15 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73.□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე"-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე"-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33: 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

**P.S. ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებს არ გააჩნია მისასვლელი გზა და სხვა მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს სერვიტუტით უძრავი ქონების მესაკუთრესთან შეთანხმებით.**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**2010 წლის 25 ივნისს დღის 16 საათზე სააქციო საზოგადოება „ხიდმშენში", მისამართი: ქ. თბილისი, ლესელიძის №15, მოწვეულია აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1. წლიური შედეგების განხილვა, დივიდენდების განაწილება. მომხსენებელი აღმასრულებელი დირექტორი;
2. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა;
3. სააქციო საზოგადოების სტრუქტურული რეორგანიზაცია.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია რეკომენდაციას უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში არსებული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებმა კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს „ხიდმშენის" აქციათა რეესტრის მწარმოებელ შპს „კაპიტალ რეგისტრში" კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში.

**მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №55, ტელეფონი 23-03-84.**

სს „ხიდმშენის" ადმინისტრაცია ჯ. მამალაძე

№ 2/585-09

## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**

**18 მაისი, 2010 წელი ქ. ბათუმი**

**ბათუმის საქალაქო სასამართლო**

**სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძე**

**მოსარჩელე** – დარეჯან ქუთათელაძე

**მოპასუხე** – ნუგზარ დათიკაშვილი,

შ.პ.ს „ოდისეი" – დირექტორი ირაკლი ჯაში

**დავის საგანი** – სესხის, მასზე დარიცხული პროცენტების და პირგასამტეხლოს, იპოთეკის საგნის რეალიზაცია.

საქმის განხილვის მომზადების მიზნით განიხილა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა შეტყობინების საჯაროდ გავრცელების თაობაზე.

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია დარეჯან ქუთათელაძის სარჩელი სესხის, მასზე დარიცხული პროცენტებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის შესახებ.

2009 წლის 30 ივლისის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში. როგორც საქმის მომზადებისას გამოირკვა ერთ-ერთ მოპასუხეს – ნუგზარ დათიკაშვილს – ვერ ბარდება შეტყობინება სასამართლოდან, ვინაიდან ის არ იმყოფება სარჩელში მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, მცხეთის ქ № 19.

საქმის მოსამზადებლი სხდომის დანიშვნის თაობაზე (12.04.10) მას ეცნობა სასამართლო უწყების გაგზავნით, მაგრამ სასამართლოში წარმოდგენილი შეტყობინებით დადგენილია, რომ სასამართლო უწყება ვერ ჩაბარდა აღნიშნულ მისამართზე მისი არყოფნის გამო (შეტყობინება იხ. საქმეში). მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე დადგენილი იქნა სხდომის დანიშვნის თაობაზე საჯაროდ შეტყობინება.

2010 წლის 18 მაისს სასამართლო სხდომა გადაიდო 2010 წლის 10 ივნისს.

2010 წლის 18 მაისს მოსარჩელე დარეჯან ქუთათელაძის წარმომადგენელმა მირზა დოლიძემ იშაუამდგომლა სხდომის სხვა დროისათვის გადადებასა და მოპასუხე ნუგზარ დათიკაშვილისათვის სასამართლო სხდომის შესახებ საჯაროდ შეტყობინების თაობაზე – საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ და სხდომის დროისა და ადგილის შესახებ მოპასუხეს აცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საშუალებით, საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია. საქმის მთავარ სხდომაზე ზეპირი განხილვის დღე მოპასუხეს უნდა ეცნობოს სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების მეშვეობით. ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა")

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. განხორციელდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 18 მაისის № 2/585-09 განჩინებით მოპასუხეზე ნუგზარ დათიკაშვილზე - საჯარო შეტყობინების გავრცელებით - უწყების ჩაბარება.
2. სამოქალაქო საქმეზე დარეჯან ქუთათელაძის სარჩელისა გამო ნუგზარ დათიკაშვილისა და შ.პ.ს „ოდისეი"-ს დირექტორის - ირაკლი ჯაშის მიმართ სესხის, მასზე დარიცხული პროცენტების, პირგასამტეხლოსა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 10 ივნისს 14.00 საათზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მესამე სართული, № 5 სხდომის დარბაზი; მის. ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის, 30)
3. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ თუკი ის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებული არიან გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობონ სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში სარჩელში მითითებული გარემოებები დამტკიცებულებად ითვლება. თუ ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.
4. ნუგზარ დათიკაშვილს განემარტოს, რომ სასამართლო უწყება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.
5. სასამართლო შეტყობინების გამოქვეყნება განხორციელდეს მოსარჩელე მხარის ხარჯზე.
6. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე:** ხელმოწერილია **ვიოლეტა ფორჩხიძე**

ასლი დედანთან სწორია

**მოსამართლის თანაშემწე** **მადლენა შანთაძე**



სულიერება

# პეტრე-პავლობის მარხვა

30 მაისს პეტრე-პავლობის მარხვის აღებაა. სულთმოფენობიდან მეორე შვიდეული ყოველთა წმიდათა კვირიაკედ იწოდება. შემდეგი ორშაბათიდან კი წმიდა მოციქულთა მარხვა იწყება.

ეს მარხვა მოციქულების თავთა – პეტრეს და პავლეს ხსენებით გვირგვინდება, ამიტომაც სახელიც მათი ჰქვია – პეტრე-პავლობის მარხვა.

ამ მრავალდღიან მარხვას (წელს – 31 მაისიდან – 11 ივლისის ჩათვლით) ძველად „ერგასის შემდგომს" უწოდებდნენ. ამჟამად მას ზაფხულის მარხვადაც მოიხსენიებენ. საეკლესიო გადმოცემით იგი ჯერ კიდევ მოციქულებს დაუწესებიათ.

**გიული ლიპარტია**

დღის კალენდარი

## 29 მაისი

სულთმოფენობის დღესასწაულის წარგზავნა. ღირსისა თეოდორე განწმენდელისა (368წ; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, იერუსალიმელი ეპისკოპოსისა (213-250წ; მოწამეთა: ვიტესი, მოდესტისა და კრისკენტიასი (დაახლ. 303წ; ნეტარისა ყრმისა მუზა ქალწულისა (Vწ; ღირსთა მამათა, წმიდა საბას ლავრაში გვემულთა (614წ; გიორგი II-ისა, მიტილენელი ეპისკოპოსისა (IXწ.



ამოდის 04.31
ჩადის 19.26



ამოდის 20.16
ჩადის 04.25

### დაიბადნენ:

1630 – **ჩარლზ II,** ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1685 წელს.
1805 – **სოლომონ დოდაშვილი,** ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1836 წელს.
1857 – **ანდრია ყარაშვილი,** კომპოზიტორი, მევიოლინე-ვირტუოზი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1925 წელს.
1874 – **გილბერტ ჩესტერტონი,** ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1936 წელს.
1880 – **ოსვალდ შპენგლერი,** გერმანელი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1930 წელს.
1906 – **იუსუფ კობალაძე,** მსახიობი. გარდაიცვალა 1981 წელს.
1917 – **ჯონ ფიცჯერალდ კენედი,** აშშ-ს 35-ე პრეზიდენტი. მოკლეს დალასში 1963 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1453 – **კონსტანტინე XI,** ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი პალეოლოგთა დინასტიიდან.
1500 – **ბართოლომეუ დიაზი,** პორტუგალიელი ზღვაოსანი, მოგზაური.
1814 – **ჟოზეფინა ბოგარნე,** იმპერატორ ნაპოლეონ პირველის მეუღლე.
1958 – **ხუან რამონ ჰიმენესი,** ესპანელი პოეტი, 1956 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

### მოვლენები:

862 – რიურიკმა ნოვგოროდში დააარსა რუს მთავართა პირველი დინასტია.
1453 – მოჰამედ მეორემ, ოტომანთა იმპერიის დამაარსებელმა, ხელთ იგდო კონსტანტინეპოლი. ბრძოლაში დაიღუპა ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე XI. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. თურქთა იმპერიის დედაქალაქი გახდა კონსტანტინეპოლი – სტამბოლი.
1555 – დაიდო ამასიის ზავი. ირანმა და ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორია გავლენის სფეროებად გაინაწილეს.
1953 – მსოფლიოში ყველაზე მაღალ მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (ევერესტი) ავიდნენ ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი და შერპი ნორგეი თენსინგი.
1971 – აშშ-ში ქალაქ ფილადელფიაში დაიბადა 11 ტყუპი. ვერც ერთმა მათგანმა ვერ იცოცხლა.

**ღირსსახსოვარი დღე:**
**როდ-აილენდი** – აშშ-ში გაერთიანების დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

დაიჯესტი

## მეცნიერის სიხარული

**შარშან, ნოემბერში, მოსკოვში გარდაიცვალა თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი, ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ვიტალი გინზბურგი.**

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სკოლაში მან... მხოლოდ ოთხი წელი ისწავლა (!) მე-20 საუკუნის დამდეგს გაჭირვების დრო იყო, ამიტომ ბევრი მშობელი ბავშვების სახლში ყოლას ამჯობინებდა. მიუხედავად ამისა, ნიჭმა მაინც თავისი ჰქნა: შემდგომ, ვიდრე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე შევიდოდა, მან უფროსი კლასების მთელი პროგრამა... სულ სამ თვეში (!) გაიარა.

1950 წელს მან აკადემიკოს ლანდაუსთან ერთად ზეგამტარობის თეორია შექმნა, რაშიც 53 წლის შემდეგ ნობელის პრემია მიენიჭა. ვიტალი გინზბურგი ხშირად ამბობდა, რომ მრავალი მეცნიერი ნობელის პრემიის მინიჭებას ვერ ესწრება ხოლმე და ამ პატივით დიდად გახარებული წავიდა წუთისოფლიდან.



## „ბრედბერის ქრონიკები"



**სახელოვანი ამერიკელი ფანტასტი მწერალი რეი ბრედბერი მონაწილეობას მიიღებს მისი მოთხრობების მიხედვით გადასაღები ტელესერიალის სცენარის შექმნაში.** პროექტის „ბრედბერის ქრონიკების" ფარგლებში თავად მწერლის მიერ არჩეული მოთხრობების მიხედვით ექვსსაათიან სერიალს გადაიღებენ. თუ ვინ შეასრულებს მთავარ როლებს, ჯერჯერობით უცნობია, სადღეისოდ ამ შესანიშნავი მწერლის მოთხრობების მიხედვით ოცი კინოფილმი გადაიღეს.

## კომპიუტერი პენსიონერთათვის

**დიდ ბრიტანეთში უკვე იყიდება პენსიონერებისთვის განკუთვნილი კომპიუტერი.** მის დესკტოპზე მხოლოდ ექვსი დიდი ღილაკია, რაც აიოლებს როგორც საბუთებისა და ფოტოსურათების, ასევე ელექტრონული ფოსტის ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, კომპიუტერში ჩატვირთულია 72 წლის ტელეწამყვანის ვალერი სინგლტონის 17 ვიდეოგაკვეთილი.

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +26 |
| ქუთაისი. | +16 – +23 |
| ბათუმი. | +16 – +22 |
| ზუგდიდი. | +16 – +24 |
| თელავი. | +16 – +24 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7881 ლარი |
| 1 ევრო | – 2.1997 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6035 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7907 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6884 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2251 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2562 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1410 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6176 ლარი |



ანეკდოტები

ჩვენი ქვეყნის მომავალი ბავშვებს ეკუთვნის. და ამ ბავშვების გვარები ყველამ კარგად იცის...

* * *

– დედი, დედი! ისეთი ანეკდოტი მოვისმინე!
– აბა, მომიყევი, შვილო...
– რას ამბობ, დედი, ასეთი ანეკდოტისთვის ჯერ ძალიან პატარა ვარ...

* * *

ყველა გოგოს როდი სჯერა ერთი ნახვით სიყვარულისა, რადგან ერთი შეხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ ბიჭს რამდენი ფული აქვს.



* * *

– ალო! ეს ტელეფონით სექსია?
– კი, ჩემო სიყვარულო! მე ძალიან ნელ-ნელა ვიხდი კოფთას...
– მომისმინეთ, პოლიციიდან გირეკავთ.
– მორჩა, მორჩა! უკვე ჩავიცვი და მივდივარ.

* * *

ტიპი ზოოპარკში მაიმუნის გალიასთან დგას.
– რას ელოდები? – ეკითხება ძმაკაცი.
– ველოდები, როდის იშვება მაიმუნისგან ადამიანი.
– სულელო, ამისთვის ხომ ერთი წელიწადი მოგიწევს ლოდინი.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.